619
1967

619

ღვაწლი

№ 1 იანვარი 1967

76



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ღრუბელი

№ 1 (362) იანვარი, 1967 წ.

გამოცემის წელი 45-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

წითელი მოედანი.

ფოტო თარხან არჩვაძისა.

ავჭალის ქარხნის უფროსი ოსტატი





სახელოვანი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსში — „ლენინი საქართველოში“, — ასეთი ამბავია მოთხრობილი: „ჭაბუკი ვინმე მასწავლებელი“, მუშაობის დამთავრების შემდეგ, საღამოთი, თავის ოთახში ზის და ლენინის წიგნს კითხულობს. დროდადრო თავს აიღებს ხოლმე წიგნიდან და ფიქრებს მიეცემა. ჭაბუკ მასწავლებელს ერთი რამ სასინანულო გასჩენია გულში: არასოდეს არ ყოფილა საქართველოში ლენინი, ერთი დღითაც კი არ ყოფილა, არ უნახავს ჩვენი ბუნება, ჩვენი მტკვარი და რიონი, არ ყოფილა ჩვენს თბილისში, როგორც სახუკვარი სტუმარი. სჯერა ჭაბუკ მასწავლებელს, რომ ლენინი ღიმილით იტყოდა: მე ბევრი ქვეყანა მომივლია და საქართველოზე უტურფესი არსად არ მინახავსო. და ქართველიც გულში გაიხარებდა, რომ აქაურმა ნიავმა გაუგრილა შუბლი ბრძენ ადამიანს. და სწყინს ჭაბუკს, რომ არც ქართული პური გაუტეხავს ლენინს, არც ქართული სიმღერები მოუსმენია. მაგრამ მოხუცი კახა, სკოლის დარაჯი არწმუნებს ჭაბუკ მასწავლებელს, რომ ლენინი ნამდვილად ყოფილა საქართველოში. კახა ასე ამბობს:

მე შეგესწარი! მე ვარ დამხდური,
თვითონ მინახავს... ჩვენში ყოფილა!
განა ის ყველას ქოხში არ იყო,
როცა ხალხს ბნელი დაამხობინა?
ის მეც მიცნობდა, მას გეფიცები,
ჩემი ცხოვრება ზეპირ იცოდა...
წითელ დროშიდან ძმური ღიმილით
ხელი საშველად გამომიწოდა.

და ოცნებობს ჩუმად მასწავლებელი: იქნებ იყო და მართლაც არ ვიცი... ოცნებობს ჩუმად მკითხველიც და კახას სიტყვებისა სჯერა, რადგანაც თუნდაც არ ენახა ლენინს ჩვენი სამშობლო, ის ყოველთვის ჩვენთან იყო გაჭირვებასა და ბრძოლაში, ის მართლაც ყველას ქოხშია ნამყოფი და ყველას ცხოვრება ზეპირად იცოდა, ყველას ეხმარებოდა შორიდან, გზას აჩვენებდა ჩაგრულებს და დაბეჩავებულთ.

მართალია კახა, როცა ამბობს, ლენინი მეც მიცნობდაო, მეც მეშველებოდაო. ყველგან იყო ლენინი, საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქსა და სოფელში, უფრო /შორსაც, — ჩეხ მუშებთან თუ პოლონელ პარტიზანებთან; დედამიწაზე არ არის არც ერთი კუთხე და არც ერთი მხარე, სადაც მის სახელს არ მიეღწიოს. ყველგან ეს სახელი კაშკაშებს ხსნისა და შვების იმედად.

ქართველი პოეტის ეს ლექსი გაგვახსენდა, როცა ამას წინათ მოსკოვში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში წავაწყდით ერთ მეტად საინტერესო დოკუმენტს. ესაა საპატიო ოსტატის წიგნაკი, რომელიც ავჭალის შუშის ქარხნის მუშებმა გაუგზავნეს ლენინს.

ამ დოკუმენტს ასეთი ისტორია აქვს: ავჭალის შუშის ქარხანას, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში ერთადერთი ქიმიური საწარმო იყო, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხუთი წლისთავის აღსანიშნავად, 1922 წლის 10 ოქტომბერს, მუშების თხოვნით მიენიჭა დიდი ლენინის სახელი, ხოლო 1923 წლის 25 ივნისს, როცა შუშის ქარხნის მუშები გაეცნენ ვ. ი. ლენინის ჯანმრთელობის მორიგ ბიულეტენს და შეიტყვეს, რომ მისი ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, საერთო საქარხნო მიტინგზე მათ ერთხმად გადაწყვიტეს გამოეთქვაო თავიანთი სიხარული და სიყვარული დიდი ბელადისადმი და იგი აირჩიეს საწარმოს უფროს ოსტატად და ქიმიკოსთა კავშირის საპატიო წევრად.

ამასთან დაკავშირებით მათ ვ. ი. ლენინს გაუგზავნეს სპეციალური წიგნაკი, რომლის გარეკანზე ოქროს ასოებით აწერია: „საწევრო წიგნაკი. ავჭალის შუშის ქარხნის უფროს ოსტატს ილიჩს, საქართველოს ქიმიკოსთა კავშირისაგან“. წიგნაკის მეორე გვერდზე მუშები დიდ ბელადს წერდნენ:

ლენინის სახელობის ავჭალის შუშის ქარხნის უფროს ოსტატს.

ძვირფასო ილიჩ!

საქართველოს ქიმიური მრეწველობის პროლეტარიატი, გიგზავნის რა საწევრო წიგნაკს, როგორც უფროს ოსტატს, გითვლის თავის მხურვალე სალამს!

შენი სახელი, როგორც გზის მანათობელი ჩირაღდანი, გამოგვიყვანს ჩვენ სამეურნეო ფრონტის გამარჯვებათა გზაზე.

ილიჩ, ჩვენ შენთან ვართ! გისურვებთ ჯანმრთელობას. ნუ ავადმყოფობ! ამას მოითხოვს ინტერესები მსოფლიო პროლეტარიატისა.

ხელფასს არ გიგზავნით. ამის სანაცვლოდ გაგახარებთ იმით, რომ უკეთ დავეუფლებით ცოდნას, უკეთ ვისწავლით.

ეს წერილი მუშებმა განიხილეს საერთო-საქარხნო მიტინგზე.

ძველი კომუნისტი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ციციშვილი, რომელიც მაშინ ავჭალის შუშის ქარხნის ოსტატის თანაშემწედ მუშაობდა, იგონებს, რომ იმავე მიტინგზე გადავწყვიტეთ ქარხანაში ვ. ი. ლენინის ბიუსტის დადგმა და ესეც მალე გავაკეთეთო.

ამ ამბის შემდეგ ოთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა. საინტერესოა როგორ გამოიყურება დღეს ავჭალის ქარხანა.

აქ ახლა ყველაფერი მექანიზებულია. დიდი ბელადის ანდერძის ერთგული კოლექტივი ქარხნისა 1954 წლიდან უცვლელად არის საკავშირო თუ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის. მას ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა კომუნისტური შრომის საწარმოს სახელწოდება. შვიდწლიანი გეგმის დავალება ქარხანამ 1965 წლის 21 ივნისისათვის შეასრულა, 1965 წლის მეოთხე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით კი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა. ქარხნის მუშებმა გადაწყვიტეს შეენარჩუნებინათ გარდამავალი წითელი დროშა და შეასრულეს კიდეც თავიანთი აღთქმა.

წარმატებით დაიწყო შუშის ქარხანამ ახალი ხუთწლედიც.

ავჭალის შუშის ქარხნის მუშების წერილი ერთი იმ მრავალ დოკუმენტთაგანია, რომლებიც მოწმობენ, თუ რა უსაზღვროდ უყვარს ქართველ ხალხს ვ. ი. ლენინი, რომლის სახელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული კაცობრიობის ახალი ისტორიის დასაწყისი.

ზალვა გოგიძე

10.369.

სიტყვაძვირ

ბერეტში ჩაფლული მთაზე. იქ, ადაც ადამიანები ხმა გაისმა. ლაბდენ-ითი ირეანან უშველებელი მანქანები, სკრეპერები, სახერხები, ეკავერატორი თვითმცლელები. ექსკავატორები.

ამ ექსკავატორებმა უკვე 2,5 მილიონი კუბური მეტრი მიწა ამოიღეს... ადვილად თქმაა, ორნახევარი მილიონი. ეს თერმე ზღვაში წყვთი ყოფილა. საჭიროა 10,5 მილიონი კუბური მეტრი ფენის ამოღება, რომ სპილენძის სა-ბადოა მიაღწიონ. კარიერი წელს გადაეცემა ოექსპლოატაციაზე.

გასაგებია, რომ აქ ყველაზე დაძაბული მუშაობაა გაჩაღებული, კარიერის უფროსს გიორგი მაჩაბელს და მთელს კოლექტივს წუთით მოცლა არა აქვთ.

• • •

ჩვენი ოპერატორებიც აღნიშნავენ, რომ აქ, ამ მთებში სპილენძის მადანს ელებდნენ დაახლოებით 4 ათასი წლის წინათ.

საფეხურებზე, რომ თვით ამორანის ტაძრისაკენ ლეგენდა, მრავალ გადმოცემებში. სპილენძია მოპოვებასთან ერთა დაკავშირებული. ტ. ჩუბინაშვილის წიგნში „ამორანის გორა“ ეკითხულობთ: „ამორანი ლითონის წარმოების ხანის ეპოსია, სადაც პოეტურად ასახულია ადამიანთა მიერ საწარმოო მიზნებისათ-



ფოტო თარხან არჩვაძისა

ჩვენ მრავალი ახალი ქალაქის დაბადების მოწმენი გავმხდარვართ.

ჩვენს თვალწინ ხელახლა დაიბადა რუსთაკი, საუკუნეების შემდეგ მან ისევ ღონიერად გამართა მხრები.

ახლა თრიალეთის მთებში იბადება ახალი ქალაქი, რომელსაც ეერეკერი-ბით მადნეული ეანძის.

ჩვენც მის სანახავად მივდიეართ.

• • •

ქვემოთ, ძველ საორბელიანოში პირქუში დღეა. თრიალეთის მთებშიც ღამენათელი ჯანელ აკრილა. შოლტიერთან მოქნეული ზარაგზა მთებში ეკარეგა... მანქანამ ერთის მოუხვია და რბილფერ ბერეულში ჩაიკარგა.

ქონელოვან.

— ეჩქარეთ, ფეოკქვა ოწყება! — ისმის ხმა ნისლიდან.

ოდენ მალე ამ შეძახილს გამაყრეველი გრიტნი მოაქვეა: ათრთოლებულ-ა. მიწამ მანქანაც კი შეარხია.

ეოს ეეკლია გამოყენება... ამ ძრიელ გასაკვირვებელი ნიმანდოხლეია, რომ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ცნობილა, თითქოს ამორანის მსგავსად დასკვლა პროპეეე არა ოკონის, არამედ სპილენძის ჯაჭვით ყოფილა მოჭაქვული“ („ამორანის გორა“, გვ. 13).

ომაეე წიგნში ეკითხულობთ:

„ამორანის თქმულების ჯაჭვური ეარიანტიდან ჩანს, რომ ძველი ქართველობა ამორანი კლდეზე მოჭაქვა ამბავი ეეკაშირებს ახალქალაქის მახლობლად მდებარე გორას“ (გვ. 12).

ბადშოკეაია მიხეიდეთ, აქეე, ამ მთებში მდებარა ამორანია ეერანე.

მიელი ეს ლეგენდები გამოძახილია იმისა, რომ ათასეული წლეების წინ აქ იყო დიდი ეერა სპილენძის დამუშავებისა. ამას დასტურებს არა მარტო ლეგენდები, არამედ არქეოლოგიური მონაცემებიც.

ამრიგად, ახალი ქარიოელი ინდუსტრიის ეერა შენდება ძველი მეტალურგიელ ეერის ადგილს.

ათასეული წლების წინ მიძინებიელი ქალაქი მალე ისევ გაიხელ თვალებს.

ქალაქი ეეასტეკა

• • •

.როგორც გეოლოგები ამბობენ, მიწაში ჩაწოლილ სპილენძის მადანს თეკ-ზის ფორმა აქვს და ათეულ კილომეტრებზეა გაბმული.

ახლა მნგრეველები ჩაკალავენ გზას მიწის წიაღში ამ საგანძურისაკენ.

გიორგი მაჩაბელი ტელეფონის მილს დასწვდა და კომბინატში დარეკა.

— რა მოხდა გიორგი? — ჰკითხა მას მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა ვახტანგ მახარაძემ.

— პირიზონტი 985. ექსკავატორმა ამოყარა თიხის მილები. სპილენძის სადნობი ქურები, ლითონი ნაშეკვი, როგორ მოვიქეცეთ?

— გადინიცეცეთ სხვგან, არქეოლოგებს გამოვიძახებენ.

მთავარი ინჟინერი ვახტანგ მახარაძე ახალგაზრდა კაცია, მისი თვალ და ეარეგა ყველგან სწვდება, სტუმრებს ოვი გატაცებით მოუთხრობს კომბინატის საქმიანობაზე.

ხრამის ხეობის მახლობლად პატარა შენობაა, რომელსაც გამამდიდრებელ ფაბრიკას ეძახიან. ფაბრიკა კი არა, ეეი საამქროს ტოლია, ჯერეერობით აქ ხაცდელ მუშაობას აწარმოებენ, ქარხანაში მეუბობს ავტოკლავი; აქ მოიღეს სპილენძის ფხვნილი და სპილენძის ფურცელი. საცდელ გამოშვებას დესწრნენ ლენინგრადისა და პრაღის მეცნიერი მუშაკები.



• • •

სოფელ კახრეთის მახლობლად თვალს გტაცებთ მეშვიდა ოაეისი მრავალსართულიანი სახლებით. ეს მხოლოდ პატარა დასაწყისია დიდი მოშავლისა. გაიკლის კიდევ ოთხოიდე წელიწადი და თრიალეთის ფერდობებზე ამენდება ქალაქი მადნეული, სადაც პირველ ხანებში 25.000 მოქალაქე დაბინადრდება.

ეს იქნება მთის ქალაქი, ქალაქი-ადამიანი, თერმატესართულიანი ცათამბჯენებით, თეატრებით, მოასფალტებულ გზებით, პარკებითა და ბაღებით დამშვენებული.

• • •

იქ, სადაც წითელ ფლატეებმესეენ მიმავალი გზა იწყება, ხელმარჯვნივ, ფერდობზე, შეფენილია მრავალი კოტეჯი ამ ადგილს გეოლოგიკა დაბას ეძახიან...

რაოდენი გამძლეობა, გამჭრიახი გონება და ნებისყოფაა საჭირო ამ პროფესიის ადამიანებისათვის! ისინი ეკვე ჩასწვდნენ მთების გულს, ამოხსნენ მიწის წიაღის საიდუმლოებანი, თრიალეთის მთებში გაკვალეს მრავალი ბილიკი; ყველგან, პიტალო კლდეებსა თე ეიფეკლ ტყეებში ჩანს მათი ნატერფალი. ისინი წლობით ვარს ეეკლიდნენ მთებში ჩაწოლილ „წითელ ეეშას“. და ეო. ოპოენეს გზა მისკენ.

თრიალეთო ნისლშია გახვეული.

— ფრთხილად, სანაში ზონაა — მოგვაახლინ იქ ნისლიდან.

მთები ინგრევა, იღება კარი ოდესღაც მიეკარებული „სპილენძის ეეშა-პისკენ“. რომლის ზერგზე უნდა ამენდეს ახალი ქალაქი.

ბეორგი ხეჩიაშვილი

70.000 სტუდიური და 500 გასპინძელი

თბილისის ცენტრალურ უნივერმაღს ახალწლის დღეებში ვესტუმრეთ.

ჩვეულებრივ დროს ხომ ისედაც ზღვა ხალხი ტრიალებს ამ შენობაში, დღეში, სულ ცოტა, ორმოცი ათასი კაცი მაინც აღებს მის კარს; ახლა კი, რომ იტყვიან, მათი სათვალავიც აღარ არის, მერე გავიგეთ, რომ ყოველდღიურად მყიდველთა რიცხვი ხამოცდაათი ათასს აღწევდა. საათში თითქმის რვა ათასი... წუთში — ათას ხამასზე მეტი. საკმაოდ დიდი რიცხვია! თუ, მით უმეტეს, იმასაც დავუმატებთ, რომ ეს უნივერმაღი არც თუ ისე დიდ შენობაშია მოთავსებული და არც თუ ისე მოხერხებულ ადგილას დგას.

ახლაც ჯერ თერთმეტი საათი არ არის და მისი შესასვლელის წინ უამრავ ხალხს მოუყრია თავი (ფოტო № 1); ჩვენც, სანამ კარი არ გაულიათ, გვრნდა მის „კულისებში" შევიხედოთ. ჟქაური მუშაკებისათვის ხომ ეს წუთები არანაკლები მღელვარებითაა სავსე, მათაც კარგად უნდათ შეასრულონ თავიანთი როლი, ახალი სიხარული მიანიჭონ ადამიანებს.

ამ აუარებელ სტუმრებს გულუხვი მასპინძლები ხვდებიან. უნივერმაღში ხუთასამდე კაცი მუშაობს, ხუთასი კაცი ემსახურება თბილისელ და რაიონებიდან ჩამოსულ მომხმარებლებს. აქედან 80 კაცი — უმაღლესი განათლების მქონეა, 90 კაცი სამუშაოდან მოუწყვეტლად სწავლობს ინსტიტუტებში, 100 კაცს კი სპეციალური საშუალო განათლება აქვს.

ჩვენს რესპუბლიკაში თითქმის ყველა სიახლე ვაჭრობის დარგში ცენტრალური უნივერმაღის კოლექტივის თაოსნობით არის წამოწყებული და დანერგილი. პირველად აქ დაიწყო ვაჭრობის ახალი მეთოდების გამოყენება, პირველად ამ „უნივერმაღში მიმართეს საქონლის ნისიად გაყიდვას, მაღაზიათა შორის პირველად აქ აღმოცენდნენ კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომელთა რიცხვი დღეისათვის თხუთმეტს შეადგენს, რვა ბრიგადა კი წარმატებით იბრძვის ამ საპატიო სახელის მოსაპოვებლად. 1957 წლიდან ამ უნივერმაღის კოლექტივმ თვრამეტჯერ მოიპოვა გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია, ცხრაჯერ კი მეორე და მესამე პრემია. ყოველივე ამის გამო მისი კოლექტივი შეტანილია საქართველოს

1

2

3

სსრ ვაჭრობის სამინისტროს საპატიო წიგნში. უნივერმალის კოლექტივის თაოსნობით კურორტ შოვში აშენებულია პანსიონატი, სადაც მის მუშაკებს ყველა შესაძლებლობა ეძლევათ ჩინებულად დაისვენონ.

მაშ ასე, უნივერმაღის გაღებას ერთი საათი უკლია. ეზოს დათვალიერებასაც მოვასწრებთ. აი, მაცივრების ახალი პარტია მიუღია მაღაზიას და მუშები გადმოტვირთვას აწარმოებენ (ფოტო № 2). ამ მაცივრების დიდი ნაწილი დღესვე გაიყიდება, მაგრამ რაც დარჩება, სად წაიღონ? ადგილი არ ჰყოფნით.

სავაჭრო დარბაზები კი პირდაპირ ბზინავს. საქონლით სავსე დახლებთან გამყიდველი ქალიშვილები ფუსფუსებენ, უკანასკნელ სამზადისში არიან. ასეთ დროს, კიდევ ერთხელ რომ ჩაიხედოს ადამიანმა სარკეში, ურიგო არ იქნება (ფოტო № 3). სიკოხტავე, სილამაზე და კეთილი ღიმილი ადამიანს გულს უნათებს, ნაყიდ ნივთსაც მეტ სითბოსა და ლაზათს ხეცს.

ეს ახალგაზრდა გამყიდველები კი უნივერმაღის თვითმოქმედი ანსამბლის წევრები არიან (ფოტო № 4). ანსამბლმა გასულ წელს რესპუბლიკის ვაჭრობის მუშაკთა თვითმოქმედების დათვალიერებაზე პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. დილდილობით რეპეტიციას იგი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დარბაზში გადის. ახლა კი მუშაობის დაწყებამდე დრო კიდევ არის და შეიძლება უნივერმაღის დამლაგებელს დეიდა კატოს თავიანთი ახალი „ნომერი" მოასწენინონ.

ეს ჭაბუკები და ქალიშვილები კი ფოტო და კინომოყვარულები არიან. მათ ახალი აპარატები აინტერესებთ (ფოტო № 5).

ქალაქში საყიდლებზე ჩამოსულ კოლმეურნეებს თავიანთი საფიქრალი აქვთ (ფოტო № 6). მინდორში თუ შინ ათასი რამ არის საჭირო. ყველაფერს სოფლის მაღაზიაში ვერ იშოვნი.

ბებიამ და შვილიშვილმა უკვე მოასწრეს — სარეცხის ქვაბებიც იყიდეს და დასაკეცი საწოლიც (ფოტო № 7).

გაჭირვებით მივიკვლევთ გზას ხალხში. ერთი სართულიდან მეორეზე ასვლას ლამის ნახევარი საათი ვუნდებით. დირექტორის კაბინეტის წინაც ხალხია. მთხოვნელნი და მომჩივანნი, მტვირთავები და შოფრები, გამყიდველები და ბუღალტრები... დირექტორი ასლან ხარბედია (ფოტო № 8), თავის დროზე თბილისის „დინამოს" ცნობილი ფორვარდი და ბორის პაიჭაძის თანამებრძოლი, ახლა მაგიდასთან დგას და თითქმის ერთდროულად ასწრებს ყველაფრის გაკეთებას — საბუთზე ხელის მოწერას, პასუხის გაცემას, ტელეფონზე

ფოტო
ოთარ თურქიასი

4

5



ლაპარაკს და ა. შ. ცხრამეტი წელია, რაც ასლან ხარბედია ამ უნივერმაღში მუშაობს და ასეთ „ციხე-ცხელებაში" არც ისე იშვიათად ყოფილა.

— ძალიან ვიწროდ ვართ, — ამბობს ასლანი,— კიდევ კარგი, თქვენ თვითონ ხედავთ. რომ იტყვიან, ნემსი ველარსად ჩავარდება. მარტო უკანასკნელი ცხრა წლის მანძილზე ჩვენს უნივერმაღში საქონლის ბრუნვა სამნახევარჯერ გაიზარდა, გაიზარდა მომხმარებელთა მოთხოვნილება, შესაბამისად გადიდდა საქონლის ასორტიმენტიც და რაოდენობაც. გადაიტვირთა სავაჭრო დარბაზები. არ გაიზარდა მხოლოდ უნივერმაღის ფართობი, არ გაფართოვდა მისი სასაწყობო მეურნეობა. ალბათ ნახავდით ეზოში დალაგებულ საქონელს. როგორ გგონიათ ეს არ აფუჭებს მას და არ იწვევს ხანძრის საშიშროებას?

— ისიც სათქმელია, სათანადო ტექნიკური ბაზა რომ არა გვაქვს, — განაგრძობს დირექტორი, — დიდი ხანია გვპირდებიან როგორც ამ ბაზის შექმნას, ისე უნივერმაღის ახალი შენობის აგებას. ბევრჯერაც დაისვა ეს საკითხი, ბევრჯერაც გამოუყვეს საამისოდ მიწის ნაკვეთი. ჯერ იყო და პუშკინის ქუჩაზე დააპირეს აშენება, მერე ლენინისა და მელიქიშვილების ქუჩების შესაყარზე, შემდეგ საბურთალოზე, სპორტის სასახლის წინ. თანხებიც გამოუყვეს, პროექტებიც შეადგინეს, მაგრამ ჩვენ მაინც არაფერი გვეშველა. ახლა ამ ახალი წლის იმედი გვაქვს.

უნივერმაღის მთავარ ბუღალტერს ირაკლი ჩიკვაიძეს თავისი პრეტენზიები აქვს ახალი წლისადმი.

— ხუმრობა საქმე ხომ არ არის, 1966 წელს ჩვენს უნივერმაღში საქონლის ბრუნვამ 88.670.000 მანეთს მიაღწია, თუ ჩვენი ასლანის სიტყვები ახდა და ამ სამოცდაშვიდ წელს მხრები უფრო ფართოდ გავშალეთ, ჩვენი წლიური ნავაჭრი 40 მილიონ მანეთს ბევრად გადააჭარბებს.

ერთი სიტყვით, გაიზარდა თბილისის უნივერმაღი, ველარ ეტევა თავის ძველ, პატარა კვანში. ჩვენს მილიონერებს უფრო ფართო დარბაზები სჭირდებათ, რომ უფრო კარგად ივაჭრონ და უკეთ მოემსახურონ ხალხს.

6



7

8





ДИМИТРИ МИРИАНАШВИЛИ

ძოთხრობა

ოვითონაც ვერ გაიგო, ისე დაბერდა სიმონა, გაელილ გზასავით გაჰხედა თავის ცხოვრებას და ნათელიანად თქვა: წავიდა ეს ახალგაზრდობაც, შე დაღუპულო, შენნ მოსვლაც ვერ გავიგე და უკვე გაფრენილხარო!

მაღალი და წელში ოდნავ მოხრილი კაცი იყო სიმონა. ჭაღარა თმა შესთხელებოდა; სიგამხდრე, სახის ნაოჭები, წლოვანებასთან შედარებით, უფრო ხანში შესულის გამომეტყველებას აძლევდნენ. კითხვის დროს სათვალეს ხმარობდა, ამის გამო ყურები ცოტა წინ წამოსწეოდა და ეს უფრო მეტად აძლევდა მოხუცის იერს. მის სახესა და გამხდარ სხეულს რომ უყურებდით, ის აწოწილი ბერები გაგახსენდებოდათ, შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოებში რომ უნახავს დახატული ყოველ ჩვენგანს. ერთი ანაფორა-ღა აკლდა და ხელთ სათამაშო მძივი და თქვენ წინ ფრანცისკანელი ბერი წარმოსდგებოდა.

მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნობა იყო, ხასიათი კი ძლიერ კარგი ჰქონდა სიმონას. ორი ათეული წელი ვიცნობდი მას, როგორც ჩუმს, წყნარ კაცს, ჭიანჭველას ფეხს რომ არ დაადგამდა.

სიმონას ორი სახელური ჰქონდა ამ ქვეყნად: თავისი ბაღ-ბოსტანი და თავისი სამსახური. ხშირად მეპატიჟებოდა ხოლმე თავის ბაღში, მაგრამ მოუცლელი ვიყავ, ამიტომ ვერა და ვერ მოვახერხე მისი ბაღის ნახვა.

— ნუ ხარ კაცო, უხიაგი! — მითხრა ერთხელ მუშაობის შემდეგ, როცა სახლში წასასვლელად ვემზადებოდი — აბა, დღეს რაღა საქმე გაქვს, წამოდი, დავსხდეთ ჩრდილში და ტკბილად ვიჭუკჭუკოთ. სუფთა ჰაერი, ჩემი ბატონო, ცივი წყალი და მეტი რა გინდა, მარტო შინაურები ვიქნებით, შენს გარდა, ადამა და სანდრო იქნებიან.

გავტეხე ნავსი და წავედი.

— შენ, ჩემო ძმაო, ბოსტანი კი არა, ედემის კუნჭული გქონია! — გაოცებით წამოიძახა სანდრომ, როცა სიმონას ბაღის ჭიშკარი შევაღეთ.

ბაღი სამხრეთისაკენ ოდნავ დაქანებულ ფერდობზე იყო გაშენებული. ცოცხალი ღობე ჰქონდა შემოვლებული, ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრით ნახარები და ზემოდან ერთ ზომაზე გადაკვერცხილი ეკლიანი ლიმონი და აკაცია კარგად იცავდნენ ბაღს მოუპატიჟებელი სტუმრებისაგან; ბაღის ფართობი მცირე იყო, მაგრამ გამჭრიახი გონების კაცს ყველაფრის დატევა მოეხერხებინა. ღობის გასწვრივ, ოთხსავე მხარეს სხვადასხვა ჯიშის ნამყენი ხარობდა, ამიტომ წლის თითქმის ყველა დროს სიმონას ბაღში ხილი გამოულევლად იყო. შუაგულში, ბებერ რქაწითელს გაეშალა ხასხასა ფოთლებით შებარდული ტოტები, მტევნებით დამძიმებული ვაზის ლერწები მზრუნველ პატრონს მავთულის ხლართზე საგულდაგულოდ დაელაგებინა. ვაზის ქვეშ, ჩრდილში ცივი წყარო მოჩხრიალებდა, სადღაც შორიდან თიხის მილებით რომ შემოეყვანა თავის ბაღში სიმონას. წყალი ხმაურით ჩადიოდა პატარა აუზში, იქ მცირე გუბედ დგებოდა და მერე საოთლაც, მიწის წიაღში იკარგებოდა.

რაღაც უცნაური ქოხი გაეკეთებინა სიმონას: მავთულზე აკრული, მაღალი პამიდორის ბუჩქები ქოხის კედლები იყო, სახურავი კი — ვაზის თალარი. ქოხში, წყაროსთან ქვის დიდი ლოდი იდო. ეს „მაგიდა“ გახლდათ. მის გარშემო „სკამებიც“ იყო: ხის ორი დიდი მონაჭერი და სამიც მოზრდილი ქვა. ბაღში, სასმელი წყლის გარდა, ვიწრო რუში მოყვითალო მღვრიე წყალიც მოჩუხჩუხებდა, რომელსაც ის უმარჯვებდა ხან კიტრის, ხან წიწაკის, ხან მწვანილეულის კვლებში. აქა-იქ ლურჯად ხასხასებდა მზესუმზირის, ცერცვის, მუხუდოს და სიმინდის ძირები.

სიმონამ თავის ბაღში იმ დროს მიგვიწვია, როცა პამიდორი წითლად და ყვითლად ღაჟღაჟებდა. მოკრიფა მწიფე პამიდორები, ნორჩი კიტრები და პატარა აუზში ჩაყარა. „ესეც ეგრე“, — ჩაილაპარაკა თავისთვის და ცოლიკოურის ბოთლებიც ნელ-ნელა ჩააყუდა, რომ აუზის ცემენტის კედლებს ბოთლი არ გაეტეხა. მე და სანდროს, ბაღს რომ ვათვალიერებდით, ცალი თვალი სიმონასკენ გვეჭირა, ვხედავდით, როგორ აწყობდა სუფრას და როგორ უკანკალებდა ხელები, მაგიდის სხვადასხვა მხარეს ყველის ნაჭრებს რომ აწყობდა, ძეხვს რომ ჭრიდა და აუზიდან კიტრები ამოჰქონდა. ვუცქეროდი და მეჩვენებოდა, რომ იმ თითუების კანკალში იყო მისი უთქმელი სიყვარული და მზრუნველობა მეგობრისადმი, ახლობლისადმი, მოძმისადმი.

ქოხში ფუსფუსი რომ მოათავა, ბოსტნეულის კვლებისაკენ წავიდა. წიწაკის კვალში, მუხლებზე დაჩოქილი რაღაცას აკეთებდა და დაბალი ხმით ვიღაცას თუ რაღაცას ესაყვედურებოდა.

— წიწაკებს ჭკუაზე არიგებს, გესმის! — ლიმილით მითხრა სანდრომ.

ირგვლივ ყველაფერს გამოცდილი, ბუნების დიდი მოყვარულის და საქმის მცოდნე კაცის ალღო ეტყობოდა.

როცა მე და სანდრომ ბაღის თვალიერება დავამთავრეთ, ერთ ალვისხესავით მაღალ სიმინდთან მივედით. სანდრომ ისე გაიკვირვა, შეატოკა კიდეც, ასე გგონია ძალა უნდა გაუსინჯოსო. მერე სიმონას გასძახა:

— სიმონა ჩემო, ეს რაღაა კაცო! — სიმონა ღიმილით მოგვიახლოვდა და თითით წვრილი ლიმონის მილის სათავე გვაჩვენა, მილის ბოლო წყლის რუში იყო ჩადებული. ამ მილით მოედინებოდა მოყვითალო წყალი და წვეთ-წვეთად ეპკურებოდა ამ ვეება სიმინდს.

— ეს საინჟინრო მოწყობილობა ერთი ღერი სიმინდისათვის, რა ამბავია, კაცო? — წამოვიძახე მე.

სიმონამ უკმაყოფილოდ შემომხედა:

— აბა დაფიქრდი, ძმობილო: ყველაფერი ერთია ამ ქვეყანაზე, ერთი რომ არ იყოს, მაშინ ყველა და ბევრი საიდანღა გაჩნდებოდა? ამ მილით წუთში ოცდაათი წვეთი უნდა დაეცეს სიმინდს, ამაზე მეტი დააავადმყოფებს, ნაკლები კი დაგვალავს.

სიმონამ ლაპარაკის კილო შეცვალა და გვითხრა: ახლა კი გვეყოფა, წავიდეთ, ცოტა წავილუკმოთ და დანარჩენს ამ სიმინდზე მერე გეტყვით. ჩვენ დავეთანხმეთ, მით უფრო, რომ ამ ლაპარაკში მართლა მოგვშივდა და გაშლილი სუფრა კი გვეპატიჟებოდა.

სიმონამ ცოლიკოურის ორი ჭიქა რომ დალია, უფრო გამხიარულდა, ენაწყლიანი გახდა, ნაოჭებით დაღარული მისი სახე თითქოს რაღაც სასწაულით მთლად შეიცვალა, სახის ეს ღარებიც კი ჩემთვის გაუგებარი ნათელით შეიმოსა. ასე მეგონა ახლა იპოვნა თავისი თავი, იქცა იმათ, რაც იყო იგი სინამდვილეში. აი ახლაც ის ილიმება, ისე უხარია, იცის, თავის გულთან მართალია და თავისიანებში იმყოფება.

ღვინომ ყველა მხიარულ გუნებაზე დაგვაყენა, აგვალაპარაკა, არაფერს არ ვერიდებოდით, ყველაფერს თავის სახელს ვარქმევდით, არავინ გვყავდა შენიშვნის მომცემი.

— ალბათ მართალი იყო ირონელი ბრძენი, როცა სიცოცხლის საწყისად წყალი გამოაცხადა, — ისევ თავის სიმინდზე ჩამოაგდო სიტყვა სიმონამ, — სადაც წყალია, სიცოცხლეც იქ არის და პირიქით, სადაც სიცოცხლეა, იქ აუცილებლად წყალიც უნდა იყოს. მაგრამ წყალიც არის და წყალიც!

სიმონა ერთ წამს დადუმდა; თითქოს სიტყვას ეძებსო, მერე ცარიელ ჭიქას ხელი მოკიდა და გადადგა, ისევ აიღო ხელში და განაგრძო — აი, ერთი წვეთი წყალი — გადმოაყირავა ცარიელი ჭიქა და იქიდან წვეთები მაგიდას დაეცა. — მიეცი ეს ერთი წვეთი ფუტკარს და ნახავ რას გააკეთებს იმ წყლისაგან, ოც ჭირსა და სატკივარს მოაშორებს ადამიანს. მაგრამ აბა მიეცით ეგ ერთი წვეთი წყალი გველს და ისეთ წამალს მოგიმზადებს, მოხედვას ვერ მოასწრებ, ისე წახვალ საიქიოსაკენ. ჰოდა, ხომ ხედავთ, ერთი წვეთი, მარტო ერთი წვეთი ყოფილა საჭირო სიცოცხლის გასაღვიძებლადაც და მის მოსაკლავადაც.

— რა ცოტა რამ არის საჭირო ადამიანის გულის მოსაგებად და უფრო ნაკლები მის მოსასპობად! — დაიწყო სანდრომ და სიმონას ნათქვამ სადღეგრძელოს გაჰყვა, თავისებურად გააშალაშინა, დალია, ჭიქა დადგა და ერთ ხანს ასე ჩაფიქრებული იჯდა; სიმონას უგდებდა ყურს, ის კი რაღაც მხიარულ ამბავს ჰყვებოდა, სანდრომ დრო იხელთა და ჩამჩურჩულა: „რა ვქნათ, როგორ ვუთხრათ?!“

მართლაც ინელად გადასაწყვეტი საქმე გვქონდა — როგორ გავაგებინოთ სიმონას, რომ ის გარეჯაში გადაჰყავთ სამუშაოდ, მისი ასაკისათვის სრულიად შეუფერებელ საქმეზე. ეს იყო ტრესტის მმართველის ახირებული, კაპრიზზე დაფუძნებული ბრძანება. ეს ბრძანება გუშინ საღამოს დაუწერია ჩუმად და ამიტომ ჯერჯერობით მხოლოდ სამმა კაცმა ვიცოდით, მაგრამ ხვალ-ზეგ ყველა გაიგებდა. ვიცოდით, რომ მმართველის ეს ბრძანება პასუხი იყო, სიმონას პირუთვნელი კრიტიკით გამოწვეული; თორემ კაცს, აქ რომ არის საჭირო, გარეჯაში რა უნდოდა, იქ სულ ზედმეტი უნდა ყოფილიყო, რადგან საიმისო იქ არავის არაფერი გვეგულებოდა. მმართველს უხაროდა, როცა ჩვენ ერთმანეთს ვაკრიტიკებდით, დაწესებულებაში ის მარტო ასეთი კრიტიკის ნებას იძლეოდა; თვითონ მას და მის მოადგილეს სიტყვას ვერ შებედავდი, ისე დასჯიდა კაცს, ეს სასჯელიაო, ამის დამტკიცება ძალიან რთული და ძნელი საქმე იყო. რასაც ის დღეს გაიფიქრებდა, ხვალ იმას ბრძანების ძალა ჰქონდა, უკვე ქაღალდზე იყო გადატანილი. ამის მიუხედავად, სიმონა მას არ ეპუებოდა. მმართველმა იცოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა სიმონას დასჯას, იმიტომ, რომ სიმონას მთელ სამმართველოში იცნობდნენ, როგორც პატიოსან და კარგ მუშაკს. ამის გამო მმართველი ბევრ რამეს ჰყლაპავდა და ხელსაყრელ წუთს ეძებდა მის დასასჯელად და აი იხელთა ასეთი წუთიც.

აქ ბაღში კი ჩვენ ისევ ვმხიარულობდით. მასპინძლის გულუბრყვილო გახალისებამ ისე გაგვიტაცა, ერთხანს დაგვავიწყა კიდეც ეს ჭუჭყიანი საქმეები.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — წამოიძახა სიმონამ და ბაღის შემოსასვლელისაკენ გაიშვირა ხელი. ჩვენი თანამშრომელი ადამა იყო. მოლაპარაკების თანახმად აქ უნდა მოსულიყო, აკი გაგვაფრთხილა კიდეც — ცოტა შემაგვიანდებაო!

ადამას შავი შარვალი და გულგადაღეღილი, სახელოდაკაპიწებული ხალათი ეცვა. ქუდი არ ეხურა. თმა ჯაგრად აბურძგნოდა, სახეც თმასავით შავი ჰქონდა, ხმა — როხროხა. ლაპარაკის დროს თვალებს ჩვეულებრივზე უფრო ხშირად ახამხამებდა. ისე როგორც ყველა მოკვდავს ამ ქვეყნად, მასაც ჰქონდა თავისი ნაკლი. არასოდეს არ უცდიდა მოსაუბრეს ბოლომდე მიეყვანა სათქმელი. ადამა მასთან ერთდროულად ლაპარაკობდა, ისე, თითქოს წინასწარ სცოდნოდეს მისი სათქმელი და საპასუხოს ეუბნებოდა, მაშინ როცა მას ჯერ თავისი არ ეთქვა. დაიწყებდა ლაპარაკს რაზეც სურდა და როცა სურდა, საამისოდ არც მიზეზი სჭირდებოდა, არც საბაბი. არც მაგრე რიგად დაგიდევდათ, უსმენდა ვინმე თუ არა, თითქოს ფიქრობდა — მე ვიტყვი, და თუ გინდა გაიგეთ, გინდა არაო. სათქმელს რომ მოათავებდა, წყალმოკლებული წისქვილივით გაჩერდებოდა და სდუმდა იმ დრომდე, ვიდრე ენაზე რამე ახალი სათქმელი არ მოადგებოდა.

ადამას მოსვლამ გამოაცოცხლა ჩვენი სუფრა. ის და სიმონა ხომ ათი წელია ერთ უბანზე მუშაობდნენ. ადამას ძლიერ შეუყვარდა სიმონა, როგორც გულისხმიერი მასწავლებელი, რომელმაც ეს გამოუცდელი, გუშინდელი სოფლელი ბიჭი კაცად აქცია.

ისევ სიმღერა წამოვიწყეთ. რომ დავამთავრეთ, ადამამ, თითქოს ვიღაცამ წასჩურჩულაო, ფეთიანივით წამოიძახა:

— რათ დათანხმდი გარეჯაში გადასვლაზე, შენი თანხმობის გარეშე ბრძანებას ხომ ვერ დაწერდნენ, — თან მგელივით შეუბღვირა სიმონას და თავისი ფუთიანი მუშტი ქვის მაგიდაზე დაურტყა.

მე და სანდრო გავშრით, მოხდა ის, რასაც ასეთი შიშით ვერიდებოდით.

სიმონას ლუკმა პირში გაუშეშდა, სავსე ჭიქა ცივად დადგა მაგიდაზე, თვალებში აზრი დაეკარგა. ერთ წერტილს მიეჯაჭვა, სურდა რაღაც ეთქვა, სცადა კიდეც და ძლივსგასაგონად წამოილუღლუღა: „ესეც ალბათ საქმისათვის იყო საჭირო!“

სიმონა უცებ ქვის სკამიდან გვერდზე გადავარდა, სანდრომ შეაშველა ხელი, თორემ მიწაზე დაეცემოდა. მთლად მოეშვა, მოუდუნდა სხეული. ადამა მანქანის მოსაყვანად გაიქცა, სასწრაფო დახმარება იყო საჭირო, საჭირო იყო ექიმი.

მანქანით სახლში მივიყვანეთ. იმავე საღამოს ექსპერტიზამ აღნიშნა... გული... თურმე საჭირო იყო სასწრაფო დახმარების აღმოჩენა იმავე ადგილას, ბაღშივე, ჩვენ კი ეს არ ვიცოდით. ვერაფერი ვერ უშველეს; ღამის თორმეტ საათზე სიმონა აღარ იყო.

შაქრო სამადაშვილი

იდგა ტაძარი, შიგ ცხოვრობდა ერთი მლოცველი,
მიუწვდომელი, მისაწვდომი მხოლოდ ოცნებით.

წმინდანი იყო, მნათობივით მშვენება სრული,
ეტრფოდნენ ბევრნი, მან ყველასთვის დაიხშო გული.

მერე მოვიდა მოძალადე, გულბნელი მტერი,
ეძგერა ტაძარს, დასწვა, დარჩა ნაცარი, მტვერი.

აქეთ ჩავლილი, სევდიანი, წუთით ვჩერდები,
მგონია აღდგა, მეკიდება ის ცეცხლი მწველი.
რა საცოდავად აღმართულა ოთხი კედელი,
წყეული იყოს მოძალადის მსახვრელი ხელი!

დუღს ლამაზ ქალის წმინდა ცრემლი ხავსიან ლოდზე,
იყო უსაზღვრო გაცოფება ვერაგი მტრისა;
იცლება გემი, მნახველები მოდგნენ და მოდგნენ,
დგანან კედლები წყრომად და რისხვად.

სანახავს ღელვით განიცდიან მნახველთ გულები,
დგანან კედლები, მაინც დგანან დადაგულები.

მძიმე წარსული! მძიმე გახდა ყოველი წუთი,
აქ დამწვარ ქალის მწარე ხვედრი გულს და სულს ცეცხლავს,
მდუმარედ ვდგავარ, თავდამსხმელებს მეც კრულვას ვუთვლი,
ესტონელ ხალხის გულის ტკივილს განვიცდი მეცა.

ესტონეთი, პირიატა.



არ ვიფიქრებდი ასე იზამდი,
ვერ გრძნობ მოპყრობა გაქვს გულსატკენი?
იყავი ჩემი სულის ხიზანი,
სულს ერთად ერთი შენ ენატრები.

შენ კი... როს გიმზერ, რად ინისლები,
არა, არ გშვენის, ასე არ გშვენის.
თვალთა, წამწამთა სხივთა ისრებით
დამჭერ, მაღირსე შენივე საშველი.

მენდე, დიდ ნათელს მიგავს მიზანი,
შუქს შენგან ელის ჩემი ედემი,
გამხადე შენი სულის ხიზანი
და სიცოცხლეში მტლედ დაგედები!

ბუდუ კუპაგაშვილი

კაცის ძალა და გენია

ვიხილე მცხეთა, ვიტირე
ცრემლი დავღვარე ალალი,
დავთვალე სვეტიცხოველზე
ჩუქურთმა, ქვების დალალი.
აისის შუქმა ნისლებში
აწვდილი ჯვარი მაჩვენა;
უსამართლობას ჩიოდა
ტაძარზე კაცის მარჯვენა;
კაცი ვიყავი ქებული,
ქვეყნის რაინდი მებუკე;
ღმერთად და ძალად ვიწამე
ადამიანი მეუფე.
სვეტიცხოველი ავაგე,
შურს ვაწყევლინე გაჩენა;
ბოროტმა სიკეთისათვის
ჩამომაცალა მარჯვენა.
ხმა გაიბზარა, ა შეწყდა;
და დავრჩი მარტო მტირალი,
კლდეებს ებრძოდა არაგვი,
არაგვი — მთების ფირალი.
ისმოდა ზართა გუგუნი
და ვეღარ შევძელ დარჩენა,
ბოვრობდი, უკან მეძახდა
კაცის მოჭრილი მარჯვენა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

შაქრო ხარაბაძემ უველაფერი სიზმარს გადააბრალა.

დედის ხულს გეფიცები, სიზმარი რომ არ მენახა, ეს ამბავი არც გამახსენებდაო, უთხრა მან საცოლეს.

რამდენი ხანია, დედაჩემი არ დამსიზმრებია... წუხელ კი ორჯერ ვნახე, საწყალი! ჩვენი მოუთავებელი სახლის კიბეზე დამდგარიყო, მკლავები გაეშალა და მაღლა არ მიშვებდა. ჩუმად მეუბნებოდა: ახალ სახლში, შვილო, რამე ცოდვა არ შეიტანო, თორემ ჭერი თავზე დაგვექცევაო...

სტუუოდა შაქრო. ეს მეტისმეტად „იდეური“ სიზმარი მხოლოდ იმიტომ მოიგონა, იქნებ მაუვალა დავიუოლიო და ჩემი დანაშაული ახლა მაინც გამოვასწოროო.

რატომ დღეს მოაგონდა შაქროს თავისი დანაშაული, ან მაუვალასთან რა ჰქონდა სადავო, ამას ახლავე მოგახსენებთ.

ნინოწმინდის სერებზე ცხვარ-ბატკანი რომ გაწყდა, სოფელში ხმა დაირხა, — ზურია კობაიძეს ბრიგადიდან დაითხოვენ და შეიძლება სამართალშიც მისცენო. შაქრომ მხოლოდ მაშინ შეიტყო, რომ მეცხვარეები ზურია კობაიძეს წერილის დაკარგვას აბრალებდნენ.

იგი ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა. ჯერ ერთი ზურია კობაიძე შეეცოდა. იმ ბიჭს არაფერში ბრალი არა ჰქონდა, ტუუილად შარს სდებდნენ. მეორეც: შაქროს სათაუვანო არჩილ უანჩაშვილი არც ისეთი სულიწმინდა გამოდგა, როგორც პირველ ხანებში ეგონა. ამიტომ ხარაბაძემ ეშმაკს ზურგი შეაქცია და გულში ჩაიდო, მამუკასთან მივალ და უველაფერში გამოვუტყდებიო. ოღონდ ჯერ მაუვალას გაეცდო, გვერდზე მოისვა და მეცხვარეების წერილის ამბავი თავიდან ბოლომდე მოუუვა.

მაუვალამ თავში ხელი შემოიკრა და ღრიალი მორთო. დიდხანს არ უტირია. შაქროს კიდეც გაუკვირდა, რა მალე გამოელია ცრემლი.

— იცის ვინმემ ეს ამბავი? — მშვიდად ჰკითხა მან საქროს.

შაქრო. მარტო არჩილმა...

მაუვალა. კარგი იყო, სული არ წაგეწყმიდა, მაგრამ ახლა სხვა რა გზა გაქვს: დამუნე პირი და გაჩუმდი, სიტყვა არსად წამოგცდეს!

შაქრო. კი, მაგრამ, ზურია?!..

მაუვალა. მაგაზე მაშინ უნდა გეფიქრა, ჩემო შაქრო!

ეს „ჩემო“ ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომ შაქრომ გაოცებით შეხედა საცოლეს. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ხარხარა გოგო ასეთი გულღრძო იქნებოდა.

შაქრო. არ მეგონა, თუ ამდენი დავიდარაბა ატყდებოდა!

მაუვალა. მერე ახლა რა გინდა!.. ციხეში გინდა ჩაგსვან?!

— რაც მოსავალია, მომივიდეს. ზურიას ცოდვაში ვერ ჩავდგები, — ამოიოხრა შაქრომ.

მაუვალა. მოკვდები და ნაციხარ კაცს ცოლად არ წავუვები, იცი ეს შენ?! მე რომ გავხულელდე და ხელი მოვაწერო, მამაჩემს ვერც მე გადავურჩები და ვერც შენ! ჯერ ის ვერ მოუნელებია, სიძედ შოფერი მეყოლებაო.

შაქრო. კაი ახლა, მაუვალა, ნამეტანს კი ნუ იზამ.

მაუვალა. მე ასე მითქვამს და...

შაქრო. იქნებ მაპატიონ, გოგო!..

მაუვალა. მეცხვარეებმა რომ გაპატიონ, არჩილს სად გაექცევი, შე საწყალო! მიწაში რომ ჩაძვრე, იქიდან ამოგიღებს...

იმ საღამოს შაქრო ვერაფერს გახდა, ქალის გული ვერ მოალბო. ნაციხარ კაცს ცოლად არ გავუვებიო. დაიჩემა მაუვალამ და ალარ გადათქვა.

აი სწორედ მაშინ ამოიღო გუდიდან ის სიზმარი შაქრო ხარაბაძემ.

მაუვალა არ იყო ცრუმორწმუნე ქალი, არც სიზმარი სწამდა, კაცმა რომ სთქვას, მაგრამ ახლა რა მოუვიდა, თვითონაც არ იცოდა. ის ღამე თეთრად გაათენა. ხან ჭერჩაქცეული სახლი მოელანდა, ხან კიდევ — კიბეზე ხელებგაშლილი შავებიანი დედაკაცი.

ინათა თუ არა, მაუვალამ გარაუში მიირბინა და შაქროს უთხრა:

— შენ არ იცი, ბიძია მამუკა რა კეთილი კაცია. შეეეხვეწები, მუხლებში ჩავუვარდები... საციხედ არ გაგიმეტებს!

ბრიგადის სადგომი მიმინოს ხევში.

ჩოხელი. (აღელვებული ლაპარაკობს) არა, მამუკავ, არავითარი თქვენი საჩივარი ცენტრალურ კომიტეტს არ მიუღია. ამ დილით მე თვითონ ველაპარაკე თბილისელ ამხანაგებს. რა არის ეს? დაუდევრობა, უპასუხისმგებლობა თუ ვიღაცამ შეგნებულად შეუწყო ხელი უანჩაშვილის სიბეცეს.

არჩილი. ცოტა-ცოტა ჩვენ ყველამ დავაშავეთ, ბატონო სიმონ.

ჩოხელი. (უკმეხად) ყველამ? ყველა არ შეიძლება დამნაშავე იყოს, თვითონ ბატონო არჩილ. ეს შენ კარგად უნდა იცოდე.

მამუკა. (ზურიას) შენ რა ენა ჩაგვარდნია, ბრიგადირო!

ჩოხელი. იქნებ წერილი სადმე დაკარგე, ბიჭო. გვითხარი რას გაჩუმებულხარ. მაგისათვის არავინ ჩამოგახრჩობს.

ზურია. არ დამიკარგავს. წერილი საიმედო კაცს გავატანე.

კარმა ოდნავ გაიჭრიალა. ოთახში შაქრო შემოვიდა და იქვე სკამლოგინზე ჩამოჯდა. თავი არ აუწევია, ისე მიიხედ-მოიხედა გარშემო.

ეს რა ტურასავით იყურება. ან ვინ სთხოვა ამ ჩერჩეტს, აქ მოდიო! — გაიფიქრა არჩილმა და შაქროს შეუბღვირა.

ჩოხელი. შენ გეტყობა, ბიჭო, პარტიის წესდებას კარგად არ იცნობ.

ზურია. როგორ არ ვიცნობ!

ჩოხელი. მაშ რატომ გებმება ენა, რატომ სიმართლეს არ გვეუბნები!

ზურია. თქვენ ყოველ ჩემს სიტყვას ეჭვის თვალით უყურებთ. თქვენ ისიც არ დამიჯერეთ, რომ უანჩაშვილს აქტის დახევა უნდოდა.

არჩილი. კიდევ მე მომდექი, ამხანაგო კობაიძე! შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ, ადექი და უთხარი შენს ამხანაგებს, რატომ დაბრუნდი გზიდან იმ სალამოს! რატომ შენ თვითონ არ წაიღე წერილი თბილისში.

„გაიძვერა!“ — ფიქრობს ზურია და ყელთან მომდგარ სიტყვას ძლივს აჩერებს. ხმა ვერ ამოუღია, სიმართლე ვერ უთქვამს, ვაითუ ნინო გაილანძღოსო. ახლა უანჩაშვილი საკუთარ მამას არ დაინდობს, არამც თუ გაუბედურებულ ქალს... ათასნაირ კუდს გამოაბამს იმ ღამის ამბავს.

სდუმს კობაიძე. თუმცალა თვითონაც ხედავს, რომ ეს დუმილი ძალიან არ მოსწონთ მეცხვარეებს.

არჩილი. მაშ მე ვიტყვი: ქალის გამო დაბრუნდა! ის ქალი ჩემი ყოფილი ცოლია.. ამიტომ გადამეკიდა კობაიძე. რა არ მომიგონა, რა ცილი არ დამწამა!

მამუკა. შენ კი რა მითხარი, ზურია, ცხენს ნალი ამივარდა, იმიტომ დავბრუნდიო.

ზურიამ თავი დახარა.

არჩილი. შენ, თავჩობანს, პარტიის წევრს, ამხანაგებმა დიდი საქმე დაგავალეს. შენ კი რა ჰქენი? მთელი ღამე ტაშ-ფანდურში გაათენე. წერილი კი არა, რატომ თავი არ დაჰკარგე.

ჩოხელი. ე-ე, ბრიგადირო, ამ დროს გაჩუმება არ შეიძლება!

ზურია. არ დამიკარგავს...

— არ დაუკარგავს! — დაიძახა უეცრად შაქრომ. ფეხზე წამოვარდა მაგრამ აღელვებისაგან ხალხში გზა ვერ გაიგნო და ვიღაცას გადაებოტა. მერე სული მოითქვა, მკაფიოდ გაიმეორა: — არ დაუკარგავს, ის წერილი მე გადავმალე!

მამუკა. შენ?

შაქრო. უანჩაშვილმა გამაბრიყვა. მე ვარ მოსაკლავი! წერილი იმ დღესვე დახია და წყალში გადაყარა. ოქროს ვარსკვლავი უნდოდა, ამიტომ გადახნა საძოვრები...

არჩილი. შენც მოგისყიდეს, ბიჭო? ხედავთ, ბატონო სიმონ, როგორ შეეკრეს პირი, რომ ხალხის თვალში გამაშავონ. მე ჩვენი რაიონის გამარჯვება მინდოდა...

ჩოხელი. ასე გაამართლე ჩემი ნდობა?

არჩილი. ამინდმა მიღალატა...

ჩოხელი. ვინ ვის უღალატა, მაგას ხვალ რაიკომის ბიურო გამოარკვევს.

არჩილი. თქვენც გამწირეთ. ბატონო სიმონ?! მერე არ შეგრცხვებათ, ჩემი სიმართლე რომ გაიმარჯვებს? პატიოსანი კაცის შეურაცხყოფას არავინ არ გაპატიებთ...

შაქროსთან მივიდა. მანქანის გახაღები ხელიდან გამოსტაცა და კარებს მიაშურა.

მამუკა. (წინ გადაუდგა) სად გარბიხარ! ფეხი არ მოიცვალო აქედან.

ჩოხელი. გაუშვი, მამუკა. შორს მაინც ვერ წავა. ახლა კი მაგის დანახვა არ შემიძლია...

ეპილოგი

ისევ მოვიდა გაზაფხული, ისევ მოედო ნარიანის შოროქნებს საზამთრო საძოვრებიდან მობრუნებული ცხვარ-ბატკანი. მთელი სოფელი მიაცილებს თრიალეთის იალაღებზე მიმავალ მეცხვარეებს.

და როგორც შარშან,

შარშანწინ,

როგორც ყოველ გაზაფხულზე,

ისევ ისე ჩურჩულებს დედა-შვილი გადაბელილ თუთასთან...

ესმა. დავბერდი, ბიჭო. ზამთარ-ზაფხული მარტო ვარ, გამოვურუვდი ქალი ამ ცარიელ კედლებში.

ზურია. რა ვქნა, დედაჩემო! აკი მეუბნებოდი, თითი დაუქნიე და რომელიც გინდა, ის წამოგუვებაო, ხედავ, არ წამომყვა!

ესმა. ვინ არის ის უღმერთო, ერთი დამანახე და თმით მოვათრევ სახლში.

ზურია. არა, დედი, სიყვარული არ იქნება ძალადაო... (დედას მოეხვია, მოეფერა, მერე ცხენს დაუსტვინა და ეზოდან გავიდა).

ზურიამ ცხენი სოფლის მაღაზიასთან მიაგდო.

— ჰეი, მიხა, გამომხედე, თუ ძმა ხარ.

მიხა. რა იყო, ზური?

ზურია. ერთი კარგი სათამაშო მინდა.

მიხა. ბიჭია თუ გოგო?

ზურია. ბიჭია.

---

* დასასრული. იხ. „დროშა“, № 5—12.

ჩვენი ადამიანები

სახელი

ჩვენი დროის გამოჩენილმა ქართველმა ექიმმა ივანე ხარებას-ძე სხირტლაძემ მთელი თავისი სიცოცხლე, მრავალმხრივი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საპატიო საქმეს შეალია.

ვანო სხირტლაძე ცოცხალი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტი თავის ხალხს.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ეს ახოვანი ადამიანი, მისი გადაშლილი შუბლი და მუდამ მომღიმარი, ვაჟკაცური, ქართული სახე, არ შეიძლება სამუდამოდ არ დამახსოვრებოდა იგი.

ვანო სხირტლაძეს, როგორც მკურნალ ექიმს და შესანიშნავ ფსიქიატრს, ყველაზე დიდ ბედნიერებას ანიჭებდა ადამიანის გადარჩენა, მისი შემობრუნება სიცოცხლის ნათელი გზისაკენ.

მას საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა.

ვინც კი რაჭაში ყოფილა და ნაქერალის მიდამოებში მოხვედრილა, მას უეჭველად მოსტაცებდა თვალს მაღლობზე აგებული მრავალძალის ეკლესია და მის ირგვლივ მთის კალთებზე შეფენილი სოფელი მთისკალთა.

ამ სოფელში, ღარიბი გლეხის ოჯახში, 1894 წელს დაიბადა ვანო სხირტლაძე.

გაჭირვებამ ვანოს მამას ხარება სხირტლაძესაც გუდა-ნაბადი ააკრეფინა და ცოლ-შვილით ქალაქის შორეულ გზას გაუყენა. პატარა ვანო მაშინ სამი წლისა თუ იქნებოდა.

მამას გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი უსწავლელი არ დაეტოვებინა.

1915 წელს ვანო სხირტლაძე წარმატებით ამთავრებს თბილისის ქართულ გიმნაზიას და პეტერბურგის უნივერსიტეტში მიემგზავრება. აქ იგი შედის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე და მთელი გატაცებით იწყებს მეცნიერების დაუფლებას. მაგრამ მესამე კურსიდან იგი ჯარში გაიწვიეს; ამ დროისათვის მისი ინტერესები მედიცინისაკენ გადაიხარა.

1919 წელს არმიის რიგებიდან დაბრუნებული ვანო ახლად დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შედის.

1922 წლიდან ვანო სხირტლაძე რუსეთში მიემგზავრება და როსტოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძობს სწავლას.

ბუნებრივმა ნიჭმა და იშვიათმა შრომისმოყვარეობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. იგი დატოვებული იქნა როსტოვში ორდინატორის თანამდებობაზე პროფესორ იუშჩენკოსთან, ფსიქიატრიის კლინიკაში.

1924-26 წლებში ივანე სხირტლაძე — ნოვოჩერკასკის ფსიქიატრიული საავადმყოფოს გამგე-ექიმია. ამ ხანებში მას კვალიფიკაციის ასამაღლებლად ლენინგრადში გზავნიან, სადაც გამოჩენილი საბჭოთა ფსიქიატრის ბეხტერევის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო აღრმავებს თავის ცოდნას.

1927 წელს ვანო სხირტლაძე სამშობლოში ბრუნდება და სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ინიშნება მთავარი ექიმის თანამდებობაზე.

1929 წელს ვანო ქუთაისში გადაჰყავთ, აქ იგი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოვალეობას ასრულებს.

1930 წელს იგი საკმაოდ დიდი დროით ლენინგრადში იგზავნება ბავშვთა ფსიქონევროლოგიისა და დეფექტოლოგიის შესასწავლად.

1933 წლიდან ვანო სხირტლაძე საბოლოოდ მკვიდრდება ქუთაისში და როგორც მკურნალი ექიმი-ფსიქიატრი, დიდ ავტორიტეტს იხვეჭს საზოგადოების ფართო ფენებში. თავისი ნაყოფიერი მუშაობის პერიოდში მან ბევრი ავადმყოფი გამოსტაცა სიკვდილს, ბევრს დაუბრუნა სიცოცხლის ხალისი და კვლავინდებურად ჩაება შრომის ფერხულში.

1933 წელს, ვანოს თაოსნობით, ქუთაისში დაარსდა სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი, რომელიც დღესაც წარმატებით ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. მანვე ქუთაისშივე ჩამოაყალიბა ფსიქიატრიული კოლონია ბავშვთა ფსიქიატრიული განყოფილებით, რომლის პირველი დირექტორი თვითონ იყო. აქაც რთული და მომქანცველი სამუშაოების მთელი სიმძიმე ვანო სხირტლაძის მხრებზე გადადიოდა.

ვანო, იმავე დროს, შესანიშნავი პედაგოგი იყო და წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ვანო სხირტლაძე იყო ფართო დიაპაზონის ინტელიგენტი, ფლობდა ფრანგულ, გერმანულ, არაბულ ენებს; გარდა მშობლიური ლიტერატურისა, კარგად იცნობდა ევროპისა და აზიის ხალხების ძველ და ახალ კულტურას.

თავისი ნაყოფიერი მუშაობის მანძილზე ვანო სხირტლაძემ დიდი გულისხმიერებით აღზარდა მრავალი ფსიქიატრი და ფსიქონევროლოგი, რომელთა უმრავლესობა დღესაც მადლიერების გრძნობით იხსენიებს ძვირფას მასწავლებელს.

ვანო სხირტლაძე გარდაიცვალა 1948 წელს.

მან დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო თავის სამშობლოს. ამ მართლაც საყვარელი ექიმისა და მოქალაქის ნათელი ხსოვნა არასოდეს არ ამოიშლება ჩვენი გულიდან.

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი,
გრ. მხეიძე,
საქ. სსრ დამსახურებული ექიმი.

მ ი ხ ა. მაშ დოლი წაუღე.

ზ უ რ ი ა. დოლი არ ძინდა.

მ ი ხ ა. აბა სალამური.

ზ უ რ ი ა. ცხენი არა გაქვს, დიდი ცხენი?

მ ი ხ ა. მაქვს. ცოტა ძვირია, კაცო.

ზ უ რ ი ა. შენ ჩემი ჯიბე ნუ გენაღვლება, მიხა-ჩემო [illegible]ოტა.

ფული გადაიხადა, სათამაშო ცხენს ნაბდის კალთა გადაფარა და ორღობეში შეუხვია.

ნაცნობი ორღობე აქ თითქოს არაფერი არ შეცვლილა გაზაფხულიდან გაზაფხულამდე. თეთრად გაპენტილ ტყემლებს ისევ ისე დაბზუის ფუტკარი და იმ ეზოდან ისევ ის სიმღერა მოისმის...

მხოლოდ ახლა ეს სიმღერა ცოტა უფრო ნაღვლიანია და შეიძლება უფრო ალერსიანიც. რა თქმა უნდა, ალერსიანი იქნება, რადგან ახლა ნინო ამ სიმღერას აკვანში ჩაკრულ ბიჭუნას უმღერის:

სადა ხარ,
მთელი დღე,
მთის კალთებს გავსცქერი!
ეს შენი ცხენია
თუ თეთრი ჩანჩქერი?

ნინო ძალიან გამხდარა, ჩაფეთქილა. მისი ლამაზი თეთრი შუბლი ჭმუნვას დაულამბავს. თვალები ჩაღამებია, მაგრამ დედობის სიხარული ვერაფერს წაუშლია, უნდა თუ არ უნდა, რაღაც მკრთალი ღიმილი მაინც არ შორდება ქალის ბაგეს.

უეცრად ეზოსთან ცხენოსანი შეჩერდა, ღობეზე რაღაცა შემოდგა და თვალისწამში გაჰქრა. ნინომ მხოლოდ ნაბადს მოატანა თვალი. სანამ იგი ჭიშკართან მიირბენდა, მხედარმა ცხენი შეაბრუნა და ორღობეში მიიმალა.

აქ კი, ძეძვის მაღალ ღობეზე, თეთრი სათამაშო ცხენი იდგა და აკვანში მძინარე ვაჟკაცს ჭიხვინით ეძახდა.

დასასრული.

მცხეთა.

„დიდი მუხის მადლი"

ორი თვის წინ, მოსკოვში, ესპანური ენის სპეციალისტმა, ბიბლიოგრაფმა ვლადიმერ სტატიკმა, ჩემთან საუბარში, ესპანელებთან ერთად ბასკებიც მოიხსენია. მე ვკითხე, რა იცით-მეთქი ბასკების შესახებ.

სტატიკმა, სხვათა შორის, მითხრა, რომ ბასკები ტრადიციულად თაყვანს აცემენ მრავალსაუკუნოვან მუხას, რომელიც 1938 წელს გერმანელებმა დაბომბეს და დამტვრიესო. მუხისადმი თაყვანისცემის ამბავი შენიშნა და ეუთხარი: ჩვენში, დმანისის რაიონის ერთი უძველესი სოფლის — კაკლიანის შუაგულში დგას ვეება, მრავალსაუკუნოვანი მუხა, ხალხი მას თაყვანს სცემდა და სალოცავად ჰქონდა მიჩნეული. ამ სოფელში დღესაც შემორჩენილია ასეთი დალოცვა — „დიდი მუხის მადლი შეგეწიოსო", ან დაწყევლა — „დიდი მუხის მადლი გაგიწყრესო" შველასაც სთხოვდნენ წმინდა ხეს — „დიდო მუხავ, შენ შეგვიწყალეო!"

მე მგონია, მუხის კულტი — ქართული წარმართობის გადმონაშთია. საერთოდ მუხის ანგელოზი სწამდათ არა მარტო აქ, არამედ სამეგრელოშიც, ჯავახეთშიც, კახეთშიც, თუშ-ფშავ-ხევსურეთშიც.

ყოველივე ეს გამახსენდა, როცა წავიკითხე ბასკი ქალის მარტინა ბილბაოს ნარკვევი, სადაც მოთხრობილია გერნიკას მუხისა და მისდამი თაყვანისცემის თაობაზე („დროშა", № 11, 1966 წ.).

ხომ არ იქნებოდა საინტერესო ამ საგნის სპეციალისტებს შეესწავლათ საიდან მოდის ასეთი სიახლოვე რწმენისა ბასკებსა და ქართველებს შორის? იქნებ ესეც გამოძახილი იყოს ბასკებისა და ქართველების ისტორიული ნათესაობისა.

მიხეილ ციხელაშვილი

ლმანისი.

ლექსები

აკაკი გეწაძე

...ქვეს ყვავილივით მოვეფერები

მე შემრჩა გული უმანკო ბავშვის
და დედამიწა დედად ვიწამე.
მე დღეს მზის სხივებს ავყვები ცაში
და ჩამოვყვები ისევ მიწამდე.

მზეში გაბანილ ეუეუნა წვიმას,
კეთილ მზესა და ლაჟვარდის კაშკაშს,
ცისა და მიწის ერთიან ბრწყინვას
ომახიანად გავსძახებ ვაშას.

დიდი ოცნებით გავყვები ცაში
სიცოცხლის დიად განავარდებას
და ჩემს გულისთქმას ლაჟვარდშიც გავშლი
ლამაზ ფიქრებად, ლამაზ ვარდებად.

მზეს ყვავილივით მოვეფერები,
დამემკვიდრება სიცოცხლე ცაზეც,
ცხოვრება სავსე ბედნიერებით,
ბედნიერება ზღვასავით სავსე.

მე შემრჩა გული უმანკო ბავშვის
და კაცმა მიწა დედად ვიწამე.
მე დღეს მზის სხივებს ავყვები ცაში
და ჩამოვყვები ისევ მიწამდე.

სკივრი

ახალ ოდაში სკივრი ძევს ძველი,
პირმოხატული მთვარით და მზითა.
სკივრს არ ემჩნევა დრო-ჟამის ხელი,
თუმც მოჰყოლია ბებიას მზითვად.

ამ სკივრთან ათევს ბებია ღამეს,
თითქოს სამეფო განძის მცველია,
მოხუცმა დათმო ათასი რამე
და დღემდე ამ სკივრს ვერ შეელია.

ამ ლამაზ სკივრში რა არ სდებია,
ენაცვლებიან ფერებს ფერები.
სკივრს დღეში სამჯერ ალებს ბებია
და შიგ ჩაჰყურებს თვალმოფერებით.

მერე შეარხევს კეკლუცად ბეჭებს,
ეტყობა, მისდევს შორეულ ამბავს.
აქ ინახავდა ნიშნობის ბეჭედს
და საქორწილო ლეჩაქს და კაბას.

აქ ინახავდა თოვლისფერ ჩოხას,
აქ ედო ქამარ-ხანჯალი ვერცხლის...
და თუმცა ახლა მოხუცი ოხრავს,
კვლავ ათბობს ძველი ტრფიალის ცეცხლი.

კვლავ ესმის:
მაყრულს ისე მღერიან,
მაღლდება ზეცის კაშკაშა ჭერი.
მთელი ქვეყანა ბედნიერია
და ცაშიც ყველა ვარსკვლავი მღერის.

ენაცვლებიან ფერებს ფერები,
მოგონებებით სავსეა სკივრი,
სკივრი სავსეა **ბედნიერებით,**
ბებია სკივრთან არასდროს ტირის.

როდი აშინებს სიკვდილის ლანდი,
იმ ქვეყნად წასვლაც არ ეშარება,
როდესაც საყდრის ბილიკზე დადის,
მისთვის საამოდ რეკენ ზარები,

სულ სასიკეთო ამბებზე ფიქრობს
და სევდით გული არ ელახვრება,
იქ ბერიკაცის მაგივრად თითქოს
ისევ თეთრჩოხა ბიჭი დახვდება.

შემოაგებებს სიტყვას რიხიანს,
შეუერთდება ხელები ხელებს,
ახალ ჯვარწერას გადაიხდიან
და უკვდავების ტაძარში შევლენ...

მიწა იქნება მათი მეჯვარე.



საქართველოში

აქ სიყვარულის ღვინით თვრებიან
და მზით სავსეა მუდამ თვალები,
მზეს საქართველო შეჰყვარებია
და საქართველოს — მზის მხურვალება.

სხვაგან სად ნახავთ ამდენ გოლიათს,
ჩვენ მზის თაფლით და შარბათით ვთვრებით.
საქართველოში, ასე მგონია,
მზის სიყვარულით გაზრდილან მთებიც.

ტალღა

ღელავენ ზღვები, ჭეჭილიც ღელავს,
მღერის ბულბული და მღერის გედი.
ამ ქვეყნად ტირის სულდგმული ყველა,
მაგრამ სულ სხვაა ტირილი დედის.

ზოგჯერ მზესაც კი სჭირდება შველა,
უღვთო ტანჯვასაც ერევა ძილი,
ამ ქვეყნად ვიღაც უკვდება ყველას,
მაგრამ სულ სხვაა სიკვდილი შვილის.

ზოგჯერ სიკეთეც მრისხანედ ელავს,
ნაირნაირად გვიღიმის ბედი.
ვინც ქვეყნად დადის, ხელი აქვს ყველას,
მაგრამ სულ სხვაა ხელები დედის.

მზე ხომ თაფლი და სიყვარულია,
გამთბობი მთების, ზღვების, ველების...
ყველაზე ტკბილი დედის გულია,
ყველაზე თბილი — დედის ხელები.

...ზღვასან ზღვასან

ზღვაზე წევს მთვარე,
ცაა მისი ოცნების ფერი.
ცაზე წევს მთვარე,
ზღვაა მისი ოცნების ფერი.
ჩვენნა ვართ ორნი, მთვარეა მარტო.
ჩვენ გვაქვს ოცნება მთვარეზე ბევრი.
აქ ზღვის დუმილს ჰგავს დუმილი ჩვენი,
აქ ცის დუმილს ჰგავს ჩვენი დუმილი...

შენს თვალში ვხედავ მთვარიან ზღვას,
მთვარიან ზეცას
და ოცნებებით ავსებულ მთვარეს.
ჩვენნა ვართ ორნი,
მთვარეა მარტო,
ჩვენ გვაქვს ოცნება მთვარეზე ბევრი.

ჰა, აჩურჩულდა ჩვენს უკან ვიღაც
და ლამაზ დუმილს შეერხა წარბი.

არ მიიხედო, ძვირფასო, უკან,
თორემ სურათი დიდი ოცნების,
თორემ სურათი დიდი სიმშვიდის
მე სამუდამოდ დამეკარგება.
არ მიიხედო, ძვირფასო, უკან!

თბილისი. სართავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკა.

ფოტო თენგიზ ფურცხვანიძისა.

ოქროსგასაღები

ეს ამბავი ამ ათეოდე წლის წინ მოხდა.

საქართველოში უცხოელი სტუმარი ჩამოვიდა. მოგეხსენებათ, იციან ჩვენში სტუმრის დახვედრა. მოატარეს მთელი საქართველო, სოფლები, ქალაქები... ბოლოს, ერთ სახელგანთქმულ საბჭოთა მეურნეობაში მიიყვანეს. სტუმარიცა და მასპინძლებიც უზარმაზარ ბიბლიოთეკაში შევიდნენ.

ეს ცოტა უჩვეულო ბიბლიოთეკა იყო. მის თაროებზე ვერ მოძებნიდით ჰიუგოსა და სერვანტესის წიგნებს; სამაგიეროდ, აქ იყო ფრანგული და ესპანური ღვინოები... მარტო ფრანგული და ესპანური კი არა, მსოფლიოს რომელი ქვეყნის ღვინოს დაასახელებდით, რომ ამ საოცარ ბიბლიოთეკაში არ მოგენახათ.

მასპინძლებს დაჰყავდათ სტუმარი თაროებს შორის. სტუმარი არც მეღვინე იყო და არც მევენახე, ის იყო სპეციალისტი სულ სხვა სფეროში — ხიდებისა და გვირაბების საქმის მცოდნე გახლდათ. მაგრამ დაბეჯითებით ამტკიცებდა — არ არის ქვეყანაზე ისეთი ღვინო, რომელიც მე ვერ ვიცნოო.

ქართველი დეგუსტატორები შეეეჭვა უცხოელის ბაქიობამ. მათ გადაწყვიტეს იქვე გამოეცადნათ სტუმარი, დადეს სანაძლეო და დაჰკრეს ხელი ხელს.

მოიტანეს პირსახოცი, აუხვიეს სტუმარს თვალები. დასვეს მაგიდასთან და მიაწოდეს პირველი ჭიქა.

სტუმარმა ოდნავ მიიტანა ჭიქა ტუჩებთან, ისევ დადგა მაგიდაზე და თქვა

— „პინო-ბლანი", საფრანგეთი

მიაწოდეს მეორე.

— „კიანტი", იტალია.

მესამე ჭიქა მიაწოდეს:

— „ტოკაი". უნგრეთი.

მეოთხე ჭიქა:

— „რისლინგი", რაინის სანაპირო

ქართველი დეგუსტატორები შეშფოთდნენ. ეს კაცი კი არა, ჯადოქარი იყო. იგი შეუცდომლად ასახელებდა ღვინის სახელწოდებასაც და მის სამშობლოსაც.

— „ბორდოს წითელი", — ამბობდა. მერე წამით ჩაფიქრდებოდა და ამბობდა სოფლის სახელსაც. — „სენტ-ემილიონი". თეთრი — „ასტი-პიემონტე".

თვალები მაგრად ახვეული ჰქონდა და... მაინც ასახელებდა ღვინის ფერს. სტუმარი იმარჯვებდა. განცვიფრებულმა და სასოწარკვეთილმა მასპინძლებმა მიაწოდეს კიდევ ერთი ჭიქა. სტუმარმა მიიტანა იგი ტუჩებთან და აჰა.. პირველი შეფერხება. სტუმარმა ხმა ვერ ამოიღო.

უცხოელი სდუმდა. ისევ გასინჯა ღვინო. ამაოდ. ბოლოს წამოხტა, ჩამოიგლიჯა თვალსახვევი და მიაჩერდა ჭიქას.

— რა არის ეს? — მღელვარედ იკითხა უცხოელმა, — ეს ბომ სიზმარია? ეს დაუჯერებელია! მითხარით ბოლოს და ბოლოს, რა ღვინოა ეა, სად, რომელ მიწაზე იბადება იგი?

ეს იყო რქაწითელი, ქარვისფერი წვენი მზით გახურებული ქართული მიწისა.

დანარჩენს ის ფოტოსურათები იტყვიან, რომლებსაც აქვე ვაქვეყნებთ.

ყურძნის წარჩინებული მკრეფავი ეერმინა მერკვილიშვილი.

ამ მილებში გადის „მაღალი ძაბვის" ქართული ღვინო.

ამ გვირაბში ეტევა 20 მილიონი ლიტრა ღვინო.





თბილისის პირველი ღვინის ქარხნის ბიბლიოთეკა.



ფოტონარკვევი
გონდო დადვაძისა

553 ოქროსა და ვერცხლის მედალი დაიმსახურეს ქართულმა ღვინოებმა.

გუშაგი.

ფოტო ოთარ თურქიასი.

იალღუბზე.

ლობენგულას ანდერძი

ინგლისელებისაგან დევნილი ლობენგულა, მატაბელეს ტომის დიდ ბელადთაგან უკანასკნელი, ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. იგი უკვე ემშვიდობებოდა სიცოცხლეს. მდინარე შანგანიზე მან მოუხმო თანამებრძოლებს და განუმარტა მათ თავისი დასაფლავების პროცედურა: უნდა მოეკლათ სამი ხარი, მათ ტყავებში ჩაეკერათ მისი სხეული და დაემალათ გამოქვაბულში. ბელადის ცხედარი ვერასოდეს ვერ უნდა იპოვნოს ამა-კვას ტომმა, ანუ ადამიანებმა, რომლებსაც მუხლები არა აქვთ, როგორც ეძახოდნენ აფრიკელები თეთრკანიან ახალმოსახლეებს მათი გრძელი შარვლების გამო, ვინაიდან, როგორც ლობენგულამ თქვა, თუ მათ იპოვნეს მისი ცხედარი, ისინი დაეუფლებიან მატაბელეს ტომის სულსაც.

ამ ლეგენდარულ ისტორიას რომ იხსენებს, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ლაურენს ფელოუზი შენიშნავს, რომ მატაბელეს ბელადის ცხედარი დღემდე არ არის ნაპოვნი. ვერ დაეუფლნენ თეთრკანიანი კოლონისტები, დასძენს ფელოუზი, მატაბელეს, მაშონასა და როდეზიის სხვა ხალხთა სულებსაც.

ევროპელთა 77 წლის ბატონობის მანძილზე როდეზიის მოსახლეობა არ სწყვეტდა ბრძოლას თავისუფლებისა და ადამიანური უფლებებისათვის. ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც 1965 წლის ნოემბერში სმიტის რასისტულმა ხროვამ ქვეყანა გამოაცხადა „თეთრკანიანი ადამიანების სახელმწიფოდ“.

ყოველივე ამას მოჰყვა აფრიკელთა შეიარაღებული გამოსვლები სმიტის რასისტული რეჟიმის დასამხობად. უცხოური პრესის ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, როდეზიაში არსებობს პარტიზანული მოძრაობის ორი მთავარი კერა — როდეზიის დედაქალაქ სოლსბერის ჩრდილოეთით, მდინარე ზამბეზის რაიონში და სამხრეთით, გველოს ტყეებში. სწორედ აქ მძვინვარებს სისხლისმღვრელი ბრძოლები თეთრკანიან ახალმოსახლეთა „უშიშროების ძალებსა“ და აფრიკელთა პარტიზანულ რაზმებს შორის. რასისტები თვით სოლსბერიშიც ვერ გრძნობენ მყუდროდ თავს. ბომბების გრგვინვა კაფეებში და ხანძრები ევროპელთა უბნებში იმაზე მეტყველებენ, რომ პატრიოტები აქაც იწყებენ თავიანთ საბრძოლო მოქმედებას. როდეზიის იუსტიციის მინისტრის აღიარებით ერთი წლის მანძილზე აღრიცხული იყო დივერსიის 80 შემთხვევა, მათ შორის თავდასხმები ნავთობსაცავებზე, რკინიგზებსა და სხვა სტრატეგიულ ობიექტებზე.

როგორც ჩანს როდეზიის მოსახლეობას კარგად ესმის, რომ მისი ბედ-იღბალი სულაც არ არის დამოკიდებული ლონდონსა და სოლსბერის შორის მოლაპარაკების შედეგებზე.

ზოგვინიზმი იუმორის ნიღბით

რომაული გაზეთი „პაეზე სერა“ აღშფოთებით იტყობინება ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული ერთი წიგნაკის შესახებ, რომელშიც „იუმორის“ სახით თავმოყრილია იტალიელი ხალხის შეურაცხმყოფელი სიბინძურენი. როგორც გაზეთის მიერ მოყვანილი მრავალი ციტატიდან ჩანს, ამ წიგნაკში იტალიელები წარმოდგენილნი არიან, როგორც ადამიანური განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგარი, უკულტურო, უხეში, მხდალი და სასტიკი არსებანი. აბუჩად არის აგდებული იტალიელთა ეროვნული ხასიათის ყველა თვისება, ზნე-ჩვეულებანი, რელიგიური გრძნობები. ამ „ხუმრობათა“ უმრავლესობის გადმოცემა შეუძლებელია — იმდენად ღრმად შეუტოპავთ ანონიმურ ავტორებს თავიანთ ცილისწამებებში იტალიელების, უძველესი და უმდიდრესი კულტურის მქონე ხალხის მიმართ. განსაკუთრებით დასცინიან და მახვარად იგდებენ ავტორები იტალიური წარმოშობის ამერიკელებს, რომლებიც, როგორც ისინი წერენ, „ზანგებზე უარესნიც კი არიან“.

„რატომ ცხოვრობს ყველა ზანგი ბირმინჰემსა და ალაბამაში, ხოლო ყველა იტალიელი — ნიუ-იორკში? იმიტომ, რომ ბირმინჰემს პირველი არჩევანის უფლება ჰქონდა“, — ვითომ ენამახვილობენ წიგნაკის ავტორები.

ისინი აბუჩად იგდებენ არა მარტო იტალიელებს, არამედ ზანგებსაც, ებრაელებსაც, ირლანდიელებსაც.

ბომბაკვდინებელი ხილი

ტროპიკული ხილი — ანანასი და გუავა სამხრეთის ქვეყნების მცხოვრებთათვის ჭეშმარიტად ღვთისგან მომადლებული საჩუქარია. მაგრამ დღეს ჩრდილოეთ ვიეტნამში — ხიტყვა „ანანასი“ და „გუავა“ ხშირად იმასვე ნიშნავს, რასაც სიტყვა „სიკვდილი“. ამერიკული ავიაცია ვიეტნამის მიწაზე ჰყრის ათასობით მსხვრევად ბომბს, რომლებსაც თვითონ ამერიკელებმა სახელად „ანანასი“ და „გუავა“ დაარქვეს და რომლებიც თავიანთი ფორმით ნამდვილად წააგვანან ამ ტროპიკულ ხილეულს.

ბომბა „ანანასი“ ყვითელი ფერისაა. იწონის 800 გრამს. ზომით ხელყუმბარის ტოლია. მასში ფოლადის 300 პაწია ბურთულაა. ბომბის მიწაზე დაცემისას ეს ნაჭრები 50 მეტრამდე რადიუსზე იფანტებიან. თუ ლითონის ეს ბურთულა ადამიანს მოხვდა, იგი ისე აზიანებს მის სხეულს, რომ მეტად ძნელი ხდება სამედიცინო დახმარების გაწევა, რადგან შეუძლებელია ჭრილობიდან მისი ამოღება...

ბომბი „გუავა“ მუქი ნაცრისფერია და იმდენსვე იწონის, რამდენსაც „ანანასი“. მასში 250 ფოლადის ბურთულაა. აფეთქების დროს ეს ნამსხვრევები ცოცხალ სამიზნეებს 6 ათა' კვადრატულ მეტრ ფართობზე აზიანებენ.

ამ ტიპის ბომბებს ამერიკელები სულ უფრო ხშირად იყენებენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. ამის შესახებ მოუთხრო ჰანოიში სპეციალურად მოწვეულ პრეს-კონფერენციის ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის კავშირის მისიის ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა ხა ვან ლაუმ. მან ჟურნალისტებსა და დამსწრე დიპლომატებს უჩვენა სოფლებსა, გზებსა და ბრინჯის ყანებში აკრეფილი შემთხვევით აუფეთქებელი „ხილის“ ეგზემპლარები.

— თქვენს წინაშეა, — ფქვა პოლკოვნიკმა ხა ვან ლაუმ, — ამერიკელთა ბოროტმოქმედების დამამტკიცებელი ნივთიერი საბუთები. რომლებიც აქარწყლებენ ამერიკული პროპაგანდის მიერ გავრცელებულ მტკიცებას, თითქოს შეერთებული შტატები აქ მხოლოდ სამხედრო ობიექტებს ბომბავენ...

მსხვრევადი ბომბების ფართოდ გამოყენება და ჩრდილოეთ ვიეტნამის დასახლებული პუნქტების კონცენტრირებული დაბომბვა მშვიდობიან მცხოვრებთა გაულეტის მიზნით — ეს არის ბარბაროსული დანაშაული, რომელსაც არავითარი გამართლება არა აქვს!

იდუმალების საფარქვეშ

ამას წინათ, ინგლისურმა ჟურნალმა „ისტერნ უორლდმა“ განაცხადა, რომ უკვე დამყარებულია „მჭიდრო საიდუმლო თანამშრომლობა“ ამერიკულ და დასავლეთგერმანულ ფირმებს შორის, რომლებიც არც ხსე შორეულ წარსულში ამზადებდნენ ქიმიურ მომწამვლელ ნივთიერებებს.

როგორც ჩანს, გერმანული ქიმიური კონცერნის „იგ ფარბენინდუსტრის“ მემკვიდრემ — ფირმა „ფარბვერკე ჰეხსტმა“—დადო ხელშეკრულება შეერთებულ შტატებში ექსპერტთა ჯგუფების გაგზავნისა და „ციკლონ ბ“-ს ტიპის მომწამვლელი გაზების წარმოებისათვის თავისი ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემის შესახებ. „ციკლონ ბ“-ს ჰიტლერელები იყენებდნენ თავიანთ სიკვდილის ბანაკებში. ამ საქმეში შუამავლის როლი შეასრულა ფირმა „ამერიკენ ჯენერალ ანილინ ფილმ კორპორეიშენმა“, რომელიც ომამდე იყო, „იგ ფარბენინდუსტრის“ ფილიალი შეერთებულ შტატებში; ეს ფირმა დღემდე განაგრძობს თავის მოქმედებას.

როგორც „ისტერნ უორლდი“ წერს, დასავლეთგერმანელი ქიმიკოსები და ბაქტერიოლოგები უკვე გაგზავნეს საიგონში განლაგებულ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის დამგეგმავ ამერიკულ ბიუროში „ურთიერთგამოცდილების“ გაზიარებისათვის. ცნობილია, რომ პენტაგონი ვიეტნამში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად არა ერთხელ იყენებდა და იყენებს ომის წარმოების ქიმიურ საშუალებებს. როგორც ჩანს, ამერიკელ გენერლებს ამჟამად სურთ შეიძინონ ადამიანთა მასობრივი გაულეტის ჰიტლერული გამოცდილებაც.

ბათუ კრავეიშვილი

შეხვედრები წარსულთან

ცნობილი ქართველი მომღერლის, საოპერო თეატრის მსახიობის ბათუ კრავეიშვილის წიგნი „შეხვედრები წარსულთან“, ჩვენი მუსიკალური ცხოვრების ერთ საინტერესო და საგულისხმო ეპიზოდს მოიცავს: ბევრი რამ აქედან უკვე ისტორიად იქცა და მით უმეტეს საჭირო და აუცილებელი საქმე იყო მისი აღნუსხვა. ამ მოგონებების კიდევ ერთი ღირსება ის არის, რომ ავტორი მარტო თავის როლებზე, თავის გამოსვლებზე კი არ მოგვითხრობს, ამასთან ერთად ეხება, ცხადია, როგორც მოგონების ჩარჩოები დაიტევს, მომღერალთა მთელი თაობების მოღვაწეობასაც. ამ წიგნში ჩვენ კვლავ ვხვდებით სანდრო ინაშვილს, ვ. ქაშაკაშვილს, პ. ამირანაშვილს, ეკ. სოხაძეს, მერი ნაკაშიძეს, ნ. ცომაიას და სხვებს. რეჟისორებს — ალ. წუწუნავას, შ. ალსაბაძეს, დირიჟორ ევგენი მიქელაძეს, ბევრი რამ არის ნათქვამი ახალი თაობის ოსტატებზეც.

ბათუ კრავეიშვილის საოპერო მოღვაწეობას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, სულ 30 წელიწადია, რაც ოპერის სცენაზე გამოჩნდა, მაგრამ ეს დრო მისი საოპერო მოღვაწეობისა, მეტად მდიდარი და შინაარსიანია; იგი აღსავსეა მრავალი სახიხარულო შემოქმედებითი გამარჯვებით. ბათუ კრავეიშვილი საოპერო თეატრის სცენაზე პირველად 1937 წელს გამოვიდა, მაშინ მან შეასრულა კიაზოს პარტია („დაისი“). ეს იყო მართლაც ძალიან კარგი დასაწყისი. ამის შემდეგ იგი ჰქმნის ჭეშმარიტად მართალ სახეებს, როგორც დასავლეთ ევროპულ, ისე რუსულ და ქართულ ოპერებში: მათ შორის უნდა დავასახელოთ იაგო (ჯ. ვერდის „ოტელო“), ონეგინი (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ფიგარო (ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი“), ტორეადორი (ჟ. ბიზეს „კარმენი“), ეერმონი (ჯ. ვერდის „ტრავიატა“), მურმანი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), აბდულაჰილი (არჩილ კერესელიძის „ბაში-აჩუკი“), მეფე გიორგი (შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“); ამას გარდა, ბ. კრავეიშვილი მონაწილეობს ქართულ კინოფილმებში („დაკარგული სამოთხე“, „ქეთო და კოტე“ და სხვ.). ამ როლებზე მუშაობის პროცესში ბევრი რამ განუცდია მსახიობს; ბევრ ისეთ შემთხვევასაც შესწრებია, რასაც გულიანად გაუცინებია მსახიობები.

„ერთხელ, გადაღების დროს, — მოგვითხრობს ავტორი, — ცხელი დღე იდგა. როგორც კი გიორგი შავგულიძე სტუდიაში მოვიდა, მაშინვე შემომჩივლა — გრიმის გაკეთება და კოსტუმის ჩაცმა ძალიან მეზარებაო. იმ დღეს თამარ ჭავჭავაძე შეუძლოდ ყოფილა და ამის შესახებ მარტო გიორგის სცოდნია. მან თავისი ტანსაცმელი გაიძრო, ხანუმას შლეიფიანი კაბა ჩაიცვა, გაზეთი აიღო და იქვე მოლზეხის ჩრდილში წამოწვა. მე კი გამაფრთხილა ხმა არ ამოიღოო. დიდი დრო გავიდა. შალვა გედევანიშვილმა ნერვიულობა დაიწყო, მე განგებ შევეკითხე: რაშია საქმე, რატომ გადაღებას არ ვიწყებთ?

— როგორ დავიწყო, როცა გიორგი შავგულიძე ჯერ არ მობრძანებულაო. გავიდა კიდევ ნახევარი საათი.

— შალვა ბატონო, მართალია შავგულიძე არ ჩანს, მაგრამ ვერც თამარს ვხედავ-მეთქი.

— როგორ გეკადრებათ, ბათუ! თამარი რამდენი ხანია მოსულია. აგერ იქ ხის ქვეშ, გაზეთის კითხვაში მგონი ჩასძინებია კიდეც.

კიდევ ნახევარი საათი იცადეს. ახლა კი უკვე ვ. ტაბლიაშვილიც განერვიულდა და შალვას შეეკითხა:

— ეორამ ხომ იცოდა, რომ დღეს ნიკოს, ხანუმას, კოტეს და მისი სცენები უნდა გადაგვეღო?

— იცოდა, როგორ არ იცოდა, — უპასუხა შალვამ.

— მაშ რაღა ჯანდაბა მოუვიდა! — ახლა კი იყვირა ვახტანგმა.

უცბად ხის ჩრდილიდან შავგულიძემ თავი წამოყო და წამოიძახა:

— მართლა დამძინებია და დამავიწყდა მეთქვა: თამარის ქალიშვილმა ტელეფონით შემატყობინა — დედას სიცხე მისცა და გადაღებაზე ვერ მოვაო. ატყდა სიცილი, რომელიც ხარხარში გადაიზარდა — და გაჯავრების თავი არავის ჰქონდა“.

ბათუ კრავეიშვილის „შეხვედრები წარსულთან“ დაწერილია უბრალოდ, სადად, უპრეტენზიოდ და ხელოვნების ღრმა სიყვარულით. მკითხველი ამ წიგნს ღრმა ინტერესით წაიკითხავს.

ო. ძიძიგური

ვისაც ნიკო ფიროსმანაშვილის სოფლიდან — მირზაანიდან კავკასიონის მთებისათვის გაუხედავს, თვალი გადაუტარებია დაბლა გაშლილ ალაზნის ველზე, რომელიც ათასფერად აჭრელებული და შემკული უმალ წარტაცებს ხოლმე ადამიანის გულს, მან არ შეიძლება ამ სილამაზის, ამ ფერების გამოძახილი არ იგრძნოს ნიკო ფიროსმანაშვილის ტილოების დათვალიერების დროს.

სამწუხაროდ, ამ დიდი შემოქმედის ბიოგრაფია ჩვენ ჯერ კიდევ კარგად შესწავლილი არა გვაქვს. საქართველოს სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა „დროშის“ ფურცლებზე: „მიდიან წლები და ნელ-ნელა იწურება ყოველგვარი შესაძლებლობა, რათა სრულყოფილად, უფრო მკაფიოდ და ნათლად წარმოვიდგინოთ მთელი ცხოვრება ბედით დაჩაგრული, მაგრამ ბუნებით და სულით მდიდარი, ხალხის წიაღიდან გამოსული დიდებული მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილისა“.

როგორც გუდიაშვილი აღნიშნავდა, დღესაც გრძელდება ძიება, დაზუსტება მხატვრის ბიოგრაფიის მრავალი ფაქტისა, „ჯერ კიდევ მოინახებიან მისი დროის ადამიანები, მათთან გასაუბრებამ და გამოკითხვამ შეიძლება გამოავლინოს საჭირო და საინტერესო ფაქტები“. ცხადია, ეს ფაქტები ჩვენ უნდა შევამოწმოთ სხვა მონაცემების მიხედვით.

სწორედ ამ მიზნით ამას წინათ გავემგზავრე კახეთში, ვინახულე ადამიანები, რომლებსაც ჯერ კიდევ ახსოვთ „საწყალი ნიკალა“. ვესაუბრე კერძოდ ნიკოს დის შვილებს — ხვთისო და ნიკა ბარამაშვილებს და თამრო ბენაშვილს.

— დინჯი კაცი იყო, შვილო — მითხრა ხვთისო ბარამაშვილმა, — აგერ იმ გორაკს ხედავ, — მიჩვენა გორაკზე თავისი სახლის წინ, — გამოდიოდა ხოლმე იქ, იდგა მთელი საათობით ჩაფიქრებული და გასცქეროდა ამწვანებულ ალაზნის ველს, კავკასიონის მთებს, დიდრონ კაკლისა და მუხის ხეებს, ყახეთსა და ვენახებს. ეს იყო ყველაფერი მისთვის, საჭმელიც ავიწყდებოდა და სასმელიც. იდგა და გასცქეროდა ამ ქვეყნიერებას. ფეხით სიარული უყვარდა, აქაური ახლო სოფლები — ოზანი, ფანიანი, ძველანგა, კარდანახი სულ შემოვლილი ჰქონდა და განა ერთხელ? ვინ მოსთვლის რამდენჯერ.

მოხუცი ამას რომ მიამბობდა, მე მახსენდებოდა ნიკოს სურათი, რომლის-

თვისაც პირობითად „კახეთის ეპოსი“ უწოდებიათ. აქ კაცი ადვილად ამოიცნობს მირზაანის ეკლესიას და შორს, პერსპექტივაში დანახულ მთაზე აშენებულ სიღნაღს. ირგვლივ სადღეობო ზეიმი და ფუსფუსია — აგერ კამეჩებშებმული ჩარდახიანი ურემი, შეკაზმული თეთრი ცხენები, გაშლილი სუფრა, წისქვილი და მეწისქვილე. და მე ახლა თითქოს ვხედავდი, როგორი იქნებოდა ეს სურათი.

— ჩემს ძმას ნიკას — განაგრძობდა ხვთისო, სიღნაღის აფთიაქში გაატანდა ხოლმე წერილს, იქ აფთიაქის თანამშრომლები მისცემდნენ იმ წამალს, რომელიც სახატავად ესაჭიროებოდა. ცხრაას თოთხმეტში, ომი რომ დაიწყო, მე ჯარში გამიწვიეს. იმის მერე ნიკო აღარ მინახავს.

ფიროსმანაშვილის ყრმობისა და ჭაბუკობის წლებზე მოგვითხრობს მისი დისშვილი თამრო ბენაშვილიც.

— მე ათი წლისა ვიყავი, როცა ნიკო დასანიშნად იყო მომზადებული. უკვე ვაჟკაცი იყო. დედა ადრე გარდაეცვალა და დედაჩემი, მისი და, დღედაღამ იმას ურჩევდა — ოჯახს მოეკიდეო. ნიკოს კი ქალაქისკენ უწევდა გული. ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად.

ნიკომ ერთხელ ქალაქში ჩემი ძმა გიორგი წაიყვანა. უ[illegible]ადა სკოლაში მიებარებინა, გაეზარდა, როგორც საკუთარი შვილი, წელიწად-ნახევარი დაჰყო ნიკოსთან ჩემმა ძმამ, მაგრამ იმ დროს ოჯახში მუშა ხელი გვჭირდებოდა და გიორგი უკან წამოვიყვანეთ.

ნიკო ღარიბი კაცი იყო, მაგრამ მაინც მუდამ დახმარებას გვიწევდა. ერთხელ სოფელში მოუსავლიანობა იყო, ნიკომ მირზაანში ფქვილის ტომრებით სავსე ფორანი ჩამოიტანა. მირზაანში მან ააშენა სახლი, თვითონ ეზიდებოდა ქვას, ქვიშას, ხე-ტყეს. თუნუქის სახურავი კი თბილისიდან ჩამოიტანა. სახლის წინ მას პატარა ვენახი ჰქონდა, ხოლო ცოტა მოშორებით ფარდული გააკეთა; მერე თბილისში გაემგზავრა, დროდადრო მაინც ჩამოდიოდა სოფელში, ავიდოდა ფარდულში და ხატავდა. ამ სურათების სანახავად უამრავი ხალხი მოდიოდა.

კიდევ ბევრი რამ მიამბეს მირზაანისა და ჯაფარიძის მცხოვრებლებმა, მაგრამ ისინი ძირითადად იმეორებდნენ იმ ცნობებს, რომლებიც უკვე გამოქვეყნებულია პრესაში (მარგალიტას სიყვარული და სხვ.). ამიტომ მას აქ აღარ გავიმეორებთ.

ლადო ნატროშვილი

მეგობრები

ნინო დოლიძე

ვიქტორ დოლიძის დიდი ბედნიერება ის იყო, რომ შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე, პირველი ნაბიჯებისთანავე, მას შემოხვდა ალექსანდრე წუწუნავა — თბილისის ოპერის ხელმძღვანელი, ცნობილი რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე.

ალექსანდრე წუწუნავა რომ არა, ვფიქრობ, დიდად გაუჭირდებოდა ვიქტორს, შეიძლება ბევრადაც დაგვიანებოდა საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა, და ვინ იცის კიდევ როგორ დამძიმდებოდა ეს პირველი ნაბიჯები. ალ. წუწუნავამ პირველივე გამოჩენისთანავე იგრძნო, იწამა ვიქტორის ხალასი ნიჭი და საქმიანობა. მან თავიდანვე კატეგორიულად დაუჭირა მხარი „ქეთო და კოტეს“ დადგმას. მაშინ ხომ არავინ არ იცნობდა არც ვიქტორს, არც ამ ოპერას, რომელიც მარტო ერთ დასტა ნოტებში იმალებოდა. ალ. წუწუნავამ ყველაზე ადრე და ყველაზე ნათლად დაინახა ეს ოპერა, განსჭვრიტა მისი გამარჯვება, გაიტანა მისი დადგმის საკითხი და უმალვე შეუდგა საქმეს. არც შემცდარა— „ქეთო და კოტემ“ ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა როგორც ავტორს, ისე მის პირველ დამდგმელსა და რეჟისორს.

ვიქტორის მთელი ხანმოკლე სიცოცხლის გზაზე წუწუნავა მუდამ თანაუგრძნობდა, ხელს უწყობდა მას.

როცა ვიქტორი სულ ახალგაზრდა, ყველასათვის უცნობი ჭაბუკი მოულოდნელად გამოცხადდა ოპერის თეატრში თავისი პირველი ნაწარმოებით, ალ. წუწუნავა იყო ის, ვინც პირველი შეხვდა მას და... იმავე ალექსანდრე წუწუნავამ უთხრა მას უკანასკნელი სიტყვა, როცა რამდენიმე წლის შემდეგ ვიქტორის ცხედარი დასვენეს ოპერის თეატრის შენობასთან გამოსათხოვებლად.

„თხუთმეტი წლის წინათ, — თქვა ალ. წუწუნავამ, — აქ მოვიდა სრულიად ახალგაზრდა კაცი, ნოტების მძიმე ხვეულით ხელში. მაშინ მას არავინ იცნობდა, და იგი ბევრს მოითხოვდა ჩვენგან. ახლა იგი ისევ მოვიდა აქ. მას უკვე ბევრნი იცნობენ, მაგრამ ის აღარაფერს ითხოვს.. ჩვენ ცოტას ვზრუნავდით მასზე, ვიდრე იგი ცოცხალი იყო, და შეიძლება იმიტომაც დაგვტოვა მან ასე ადრე“.

კიდევ ბევრი თბილი სიტყვა თქვა ალ. წუწუნავამ იმ დღეს. გვიანღა იყო...

ის სინანული, რომელიც გამოთქვა მაშინ წუწუნავამ, ამ კეთილი ადამიანის პატიოსნებაზე და მაღალ საზოგადოებრივ გრძნობაზე მეტყველებს. მაგრამ წუწუნავა ტყუილად იდებს ბრალს თავის თავზე, იგი მუდამ გულისხმიერად და სრული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის მოვალეობას როგორც ვიქტორისადმი, ისე ყოველი სხვა მოღვაწის მიმართ, სადამდეც ხელი გაუწვდებოდა. სამწუხაროდ, ყველა როდი ეკიდება თავის საქმეს ასეთი პასუხისმგებლობით და გულისხმიერებით. მაგრამ აქ სხვაც უნდა ითქვას. ვიქტორს ალბათ ჰქონდა ძალა და ენერგია რომ ემუშავნა, დაეწერა, მიეტანა თავისი ნაშრომი მსმენელამდის, ხალხამდის. შემდეგ კი ვეღარ იცლიდა, თუ თავი აღარ ჰქონდა ცოტაოდენი ენერგია მოეხმარა, მოეთხოვნა და გაეტანა, თავისი ყოფის გაუმჯობესებაზე ეზრუნა. არა, იგი ისევ ახალ შრომაზე ფიქრობდა და ოცნებობდა. ისევ მაგიდას უჯდა. დიახ, შრომა შეეძლო, კალამიც უჭრიდა. კაცმა რომ თქვას, მაგრამ, ალბათ, ეს არ კმარა ადამიანის კეთილდღეობისათვის.

მეტად თავისებური კაცი იყო, იჯდა თავისთვის, წერდა, დადიოდა თეატრში. არც თუ დიდი მტრობა აწუხებდა ვისიმე, არც, კაცმა რომ თქვას, ბევრი მეგობარი ჰყავდა. არც ქეიფი უყვარდა, არც ქაღალდის თამაში, არც სტუმრად სიარული, ძალით და დიდი გადაპატიჟებით თუ წაიყვანდნენ სადმე. ისე კი მეტად მხიარული, ენამტკბილი და ცოცხალი კაცი იყო, ძალიან უყვარდათ მისი სტუმრობა. გამხიარულდებოდა, რაღაცა სცენებს ადგენდა, ფოკუსების ჩვენებაც უყვარდა. ჰქონდა ერთი საინტერესო ფოკუსი: თავის ხელჯოხს ისე დააყენებდა იატაკზე, მერე ისე აამოძრავებდა, ხელშეუხებლად, ყველა გაოცებას ეძლეოდა. სინამდვილეში კი სულ უბრალო ფანდი იყო. მუხლებზე გამოიბამდა ძაფს, დაჯდებოდა, ფეხებს ფართოდ გაშლიდა, ჯოხს დადგამდა შუაში. ჯოხი ძაფს ეყრდნობოდა, ვიქტორი დაძაბული სახით იჯდა და ხელებს ამოძრავებდა ფაკირის მსგავსად, ვითომდა ჰიპნოზით შთააგონებდა ჯოხს ჰაერში გამოკიდებულიყო და მის სურვილზე ამოძრავებულიყო: „აბა წინ! ახლა ჩემსკენ!“ ფეხებს ოდნავ გაშლიდა და ჯოხი მისკენ წავიდოდა. ახლა რომელიმე მანდილოსნისაკენ: „აბა, თავი დაუკარი, კიდევ უფრო დაბლა!“ ჯოხიც მორჩილად გადაიზნიქებოდა იქითკენ, ახლა, კიდევ მეორე მხარეს, ვინმე სხვის საპატიცეცემოდ. ბავშვივით უხაროდა ვიქტორს, როცა ატყდებოდა დავა: „როგორ აჩერებს? იატაკზე აქვს დაწებებული, ტყვიაა შიგ ჩასხმული?“ რა ვიცი, რას არ იტყოდნენ, ვიქტორი კიდევ ამაყად ააგდებდა ჯოხს, გაუწვდიდა „აბა გასინჯეთო“. რა თქმა უნდა, არავითარი წებო და ტყვია, იმ ძაფს კი შეუმჩნევლად მოწყვეტდა და იქვე სადმე კუთხეში მიაგდებდა. „ფაკირი ვარ, ფაკირი, ინდოეთში ვიყავი სპეციალურად მაგის შესასწავლად“ — ამტკიცებდა იგი. მისი ფაკირობა, მართალია, არავის სჯეროდა, მაგრამ ჯოხი ხომ მაინც მოძრაობდა მისი სურვილისამებრ, ხელშეუხებლად. ამას გარდა, ათასნაირი სხვა ფანდი იცოდა. თუ ხასიათზე იყო, სულ დახოცავდა ყველას სიცილით. არც სიმღერას დაიზარებდა. მრავალჟამიერს ყოველთვის თვითონ აწყობდა, ჯერ პირველი ხმით, მერე მეორეზე გადავიდოდა, მე შენ გეტყვი, გაუჭირდებოდა აყოლა, მთელ სუფრას აამღერებდა, მერე კი როცა აირეოდნენ, და ვინ რას გაიძახოდა, წამოდგებოდა: „აწი თქვენ განაგრძეთო“. მოლხენა, სუფრა უყვარდა, ღვინოც, მაგრამ ზომიერად. მაგრად დალეული არასდროს მინახავს, ღვინის დაძალებას ვერ იტანდა. რაგინდ ჯიუტი თამადა ყოფილიყო, ვერ დაიმორჩილებდა. „შე კაცო, ღვინო იმისთვისაა, ისიამოვნო, — ეტყოდა ვიქტორი, — თორემ თუ მომკალი, რათ მინდა“. თვითონაც ადგებოდა, სხვებსაც აიყოლიებდა. ხანდახან კონფლიქტამდე მიდიოდა საქმე. „მე ასე მიყვარს, და თუ არ გინდათ, ნუ მეძახითო, — იტყოდა, — შემიძლია ახლავე გაგეცალოთო“, ვინ გაუშვებდა. არ დაზარდებოდა არც სიმღერას, არც დაკვრას. მიუჯდებოდა როიალს, შემოესეოდნენ, სთხოვდნენ, როდი გაიპრანჭებოდა. ხშირად რომელიმე ოპერის ურთულეს პარტიასაც კი შეასრულებდა. ძალიან უყვარდა ტონიოს არია „ჯამბაზებიდან“, დონ ხოზეს არია „კარმენის“ მეორე აქტიდან, გერმანის უკანასკნელი არია „პიკის ქალიდან“, „დღეს თუ შენა ხარ ძმობილო, ჩვალე მე!“ კარგადაც გამოუდიოდა, თუ ხმაზე იყო. და თუ ხმაზე ეგრე რიგად ვერ იყო, მაინც ახდენდა შთაბეჭდილებას შესრულების მანერით. მაღალ ნოტებს ფალცეტით აიღებდა. იშვიათად რომ ვიქტორი სადმე სტუმრად ყოფილიყო და არ ემღერებინათ.

როგორც უკვე ვთქვი, ღვინის ხმას გადამეტებით ვერ იტანდა, ისე კი სადილის დროს ერთ-ორ ჭიქას აუცილებლად დალევდა. ღვინო მუდამ ჰქონდა შინ, დაჯდებოდა ორივე ძმა, ერთ ბოთლ კარგ კახურ ღვინოს დასცლიდნენ სადილად. შესანიშნავ გუნებაზე დადგებოდა ვიქტორი. ადგებოდა და თავის მაგიდას მიუჯდებოდა. „რა უნდა კაცს, — იტყოდა. — ერთი ჭიქა ღვინო, ცოტა პური და ყველი, ხორცის ნაჭერიც თუ იგდო ხელში, მაშინ ხომ სულ ბედნიერია“. ხალხური ლექსის სიტყვებს მოიგონებდა:

> არც არავის ყმად ვყოფილვარ,
> არც არავინ ყმად მყოლია,
> ძველი პური, ძველი ღვინო
> წლით წლობამდე გამყოლია!

ძალიან მოსწონდა: „გენიალურია, არა? — იტყოდა — გენიალურია, გენიალური! და რას ვიკლავთ თავს ამ ფუფფუნებისათვის“.

ნეტა რომელ ფუფფუნებაზე ლაპარაკობდა, ან სად იყო ამ ფუფფუნების თუნდაც ნატამალი. „კიდევ ორიოდე მეგობარიც თუ გაგაჩნია, — მორჩა და გათავდა, მეტი რაღა გინდა“, — დასძენდა.

ვიქტორს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ვანო სარაჯიშვილთან, სანდრო ინაშვილთან, გალაკტიონ ტაბიძესთან, სოსო გრიშაშვილთან, მარიჯანთან, მიხეილ ჯავახიშვილთან, იოსებ მჭედლიშვილთან. გალაკტიონი, სოსო გრიშაშვილი და იოსებ მჭედლიშვილი ხშირად ეხმარებოდნენ კიდეც მას ოპერის ტექსტების შედგენისას. სოსო გრიშაშვილი განსაკუთრებით უყვარდა ვიქტორს. ახლა მომაგონდა, ამ რამდენიმე წლის წინათ, სოსოს ერთი ჩემი წიგნი ვუძღვენი წარწერით: „ჩვენი ოჯახის ძველ მეგობარს“. ძალიან ესიამოვნა და მითხრა: „განსაკუთრებით მადლობელი ვარ წარწერის გამოო. ამით შენ ხომ ვიქტორი მომაგონეო“. ბოლო დროს ძალიან დაუმეგობრდა პროფესორ შალვა ნუცუბიძეს. თბილი ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს სახელოვან მხატვარ ლადო გუდიაშვილთან, რომელსაც მუდამ აფასებდა, როგორც ბრწყინვალე ხელოვანს. სხვათა შორის, ლადოს უნდა დაესურათებინა „ქეთო და კოტეს“ ახალი დადგმა. ლადო და ვიქტორი ხშირად ლაპარაკობდნენ ამაზე და გეგმებს აწყობდნენ. ლადომ კი გააფორმა „ქეთო და კოტეს“ დადგმა, მაგრამ ვიქტორი ამ დადგმას ვეღარ მოესწრო. იგი გარდაიცვალა ათას ცხრაას ოცდაცამეტ წელს, ხოლო მოსკოვში, საქართველოს ხელოვნების * დეკადაზე „ქეთო და კოტე“, ლადო გუდიაშვილის ჯადოსნური ხელით გაფორმებული, დაიდგა სამი წლის შემდეგ.

რახან ჩვენი სახელოვანი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე მოვიგონეთ, აქ ერთი ამბის მოყოლაც, ვფიქრობ, არ იქნება ზედმეტი.

გალაკტიონ ტაბიძე გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე. მწერალთა კლუბში შემხვდა. მე ხომ ბავშვობიდან ვიცნობდი მას, ვიქტორის მეშვეობით; სიტყვამ მოიტანა და ვუთხარი, რომ ვიქტორზე წიგნის დაწერას ვაპირებ-მეთქი.

— ჰო, ჩინებული აზრია, — მომიწონა მან, — ძალიან საინტერესო პიროვნება იყო. მეტად ნიჭიერი და, ამავე დროს, ისეთი კეთილი, რაღაც უბრალო, უპრეტენზიო. დასანანებელია, რომ ასე უდროოდ დაიღუპა. ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით, — თქვა და აქვე მომიყვა ერთი ამბავი, იქნებ გამოგადგეთო.

* ერთი თავი წიგნიდან „ჩემი ძმა ვიქტორი“.

— ბაკურიანში ვისვენებდით ერთ ზაფხულს. მაშინ ხომ არ იყო ზამთრობით ბაკურიანში ისეთი ლტოლვა, როგორც ახლა. მარტო ზაფხულობით დავდიოდით წადვერში, ბაკურიანში, ისე როგორც აი ახლა წყნეთი შემოვიდა მოდაში. ერთ მშვენიერ დღეს შემხვდა ვიქტორი.

— რას შვრები, როგორა ხარ? — მეკითხება.

— რაღა როგორ, მივდივარ, — ვუპასუხე მე.

— სად, თბილისში?

— ჰო...

— რა დროს თბილისია, შე კაი კაცო, ამ შუა ზაფხულს?

— რა ვქნა, ფული გამომელია, რა გაეწყობა, უნდა გავბრუნდე. მოგეხსენებათ, — თავისი ჭკვიანი, ოდნავ ირონიული ღიმილით დასძინა გალაკტიონმა, — მე ხშირად განვიცდი ხოლმე ფულის ნაკლებობას.

— რას ამბობ, — შესძახა თურმე ვიქტორმა, — მოდი, ერთი შენი საღამო მოვაწყოთ, ეგეც შენი ფული! რა, არ მოვა ხალხი, არ გიცნობენ თუ!

— მე ჯერ უარზე ვიყავი, — ჰყვებოდა გალაკტიონი, — აბა აქ რა საღამო უნდა მოაწყო, ან ვის სცხელია ახლა აქ, აგარაკზე, ლექსებისათვის.

გაგიგონია, ვინ დამიჯერა, — დაჯექ შინაო, დღეს და ხვალ ხომ არ მოკვდები შიმშილით, და მერე მე ვიცი‌ო. დატრიალდა, რა ცოცხალი კაცი იყო. ორ დღეში ისეთი საღამო მოაწყო, აფიშებიც კი გამოუშვა, მართალია ხელნაწერი, მაგრამ ძალიან ეფექტური. სულ უზარმაზარი წითელ-მწვანე ასოებით ეწერა: „გალაკტიონის საღამო“. გაივსო თეატრი. პატარა ფიცრული თეატრი იყო, აბა რა იქნებოდა იმ დროს ბაკურიანში, მაგრამ იმდენი ხალხი მოაწყდა, ტევა არ იყო. პროგრამაც საინტერესოდ შეადგინა, ან სად იშოვა იმდენი ხალხი, მაგრამ იგი ხომ მუდამ შემოიკრებდა თუ ვინმე მუსიკოსი, ან მომღერალი მოიპოვებოდა ახლომახლო. ჰოდა, მშვენიერი პროგრამა გამოვიდა, ვიღაც ქალი მღეროდა, არ მახსოვს კი ვინ იყო. თვითონაც გამოვიდა. წარმოიდგინეთ კოტეს არია იმღერა „ჭეთო და კოტედან“, პირველი: „ო, რა კარგია სამშობლო ჩემი“, ხომ იცით ხანდახან ძალიან კარგად შეეძლო სიმღერა. ისე მოეწონათ, ძლივს გაუშვეს სცენიდან. მერე ერთმა ახალგაზრდა კაცმა ჩემს სიტყვებზე დაწერილი რომანსები შეასრულა, მერე მე წამაკითხეს ლექსები. გათავდა საღამო. მე აგერ ვარ გარეთ, ხალხში გავერიე, მეკითხებიან, მთხოვენ, კიდევ მოაწყვეთ ასეთი საღამოო, უცებ ვიქტორი მეძახის. პატარა გადანაყოფი ჰქონდა დარბაზს — სალაროო. შევედი, — ზის ვიქტორი, წინ მაგიდაზე პირდაპირ ხროვად ყრია ქაღალდის ფული. არც იმდენი ფასი ჰქონდა მაშინ ფულს,—ჩაიცინა პოეტმა, და მაინც ამ რაოდენობით დიდი ხანია აღარ მენახა.

— აბა, — გამომიწია ხროვა, — ეს შენია.

მე თავი მოვიკალი, — შუაზე გავყოთ-მეთქი და იქვე დავიწყე გაყოფა. ისე პირდაპირ გავყავი ეს ხროვა შუაზე, აბა დათვლას ხომ არ შევუდგებოდი. თავი მოიკლა, რას ჰქვია გავყოთ, მე რა შუაში ვარ, შენი საღამო იყოო, — კი მაგრამ ხარჯები? — ხარჯები რა, ცოტა თეატრის ფასი გადავიხადეთ, სხვა ხარჯი რა იქნებოდაო.

— ეს ამდენი ხალხი რომ შეწუხდა, ან შენ...

— რა შეწუხებაა, გავერთეთ და ის არისო. აბა ჰონორარს ხომ არ გამოგართმევო.

არასგზით არ დამთანხმდა. მთელი ის ფული თვითონვე ჩამიტანა ჯიბეებში, — ახლა ხომ გეყოფა ერთ ხანს და აღარ წახვალო. იმ ღამეს ვახშამი გადავიხადე, იქვე სადგურის დუქანში. ვინც დავიხელთეთ მონაწილეთაგან თუ მაყურებელთაგან, პატივი ვეცით.

ისეთი კმაყოფილი იყო ვიქტორი, ბავშვივით უხაროდა, სულ ამას გაიძახოდა: გაგიგონია, დამდგარა ამხელა პოეტი და ამბობს: ფული არა მაქვსო.

— იმ ვახშამზე ისეთი მხიარულება, ისეთი კონცერტი გაიმართა, მგონი იმ თეატრისას გადააჭარბაო, — ჰყვებოდა გალაკტიონი, — ვიქტორიც ხალისზე იყო. რამდენი იმღერა, როგორ გაგვამხიარულა. მეც წამაკითხეს კიდევ ახალი ლექსები. რა დრო ვატარეთ... მართლაც, თბილისში წამოსვლა აღარ დამჭირვებია და კარგა ხანს მეყო ის თანხა. რა ცოცხალი, რა ხალისიანი კაცი იყო, ისეთი მოძრავი, მოუსვენარი, პირდაპირ სიცოცხლის, სიხარულის განსახიერება. ახ წელიწადს ვიცოცხლებო, ამბობდა, — მე რა მომკლავსო. და დახეთ, რა ადრე მოესპო წუთისოფელი. ვინ იფიქრებდა, — სინანულით დასძინა პოეტმა, — დიდი, დიდი დანაკლისია ჩვენი მუსიკისათვის.

ამის მერე აღარც მინახავს გალაკტიონი, ისიც მალე მოსწყდა ამ წუთისოფელს.

ვეშაპის ოვზები

გარეგინ ბესი

I.

ყიზლარს საზეიმო ელფერი დასდებოდა. ამ პატარა ქალაქის მკვიდრთა სასიხარულო დღე უთენდებოდათ, უხაროდათ, თუმცა მათი ცხოვრება ისევ ბაჭირვებით იყო სავსე. გაზაფხული იყო, ყვავილებით იმოსებოდა მთელი მიდამო, მაგრამ მარტო ეს როდი იყო სასიხარულო. ქალაქის კედლებზე გაკრული აფიშები იუწყებოდნენ, რომ წარმოდგენების გასამართავად აქ ჰოვჰანეს აბელიანი ჩამოდიოდა.

ყიზლარში ყოველთვის მოვა გაზაფხული, მაგრამ აბელიანი, ვინ იცის კიდევ როდის გაიხსენებს ამ ქალაქს! ამიტომ მოდით დღეს ეს გაზაფხული, ყვავილები, ეს კრიალა ცა და სიმღერები აბელიანს შევთავაზოთ, მას მივუძღვნათ!

და აი, მთელი ქალაქი მსახიობთან შესახვედრად სადგურზე გამოეფინა. ზოგს ფეხით მოეღწია, მდიდრები კი, რომელთაც მხოლოდ აბელიანთან ერთად ქალაქის ქუჩებზე გასეირნება აინტერესებდათ, ეტლებით მოსულიყვნენ. აქვე იყვნენ ახალგაზრდა ქალები და ქალიშვილებიც, ისინი იმიტომ მოსულიყვნენ, რომ ხალხისათვის თავიანთი სილამაზე და ძვირფასი სამკაულები ეჩვენებინათ. სხვებიც იყვნენ სადგურზე, ისინი, ვისთვისაც თეატრი და აბელიანი სალოცავი ხატი იყო.

აბელიანმა ვერც კი გაიგო, როგორ გადმოიყვანეს ვაგონიდან და როგორ ჩასვეს რომელიღაც ეტლში. ის მხოლოდ გზაზე მოვიდა გონს, როცა დაინახა, რომ ახალგაზრდა ქალებითა და ქალიშვილებით იყო გარშემორტყმული. სადგური კი წამით თითქოს გაქვავდა, მეეტლეებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს — აბელიანის სანახავად მოსულიყვნენ და ის კი სადღაც გამქრალიყო!

ხალხს ისღა დარჩენოდათ, რომ აბელიანის თანმხლებნი მაინც მოენახულებინათ, ისინი, ვისაც თავისი ბედი და მთელი სიცოცხლე მსახიობთან დაეკავშირებინა და აბელიანთან ერთად ქალაქიდან ქალაქში მიმოდიოდა. ხალხი ახლა მათს დამარტოხელებასღა ცდილობდა. გულწრფელად ეპატიჟებოდნენ. ღარიბულად ჩაცმულმა ჭაღარა მანდილოსანმა ძლივს მოასწრო, ერთ ქალს მკლავში ხელი ჩასტაცა და უთხრა:

— წამოდით ჩემთან, მეც მოვიყვანე ეტლი!

ქალმა შეხედა მოხუცს, მის მოღლილ, დაღარულ სახეს, უმალ ჩამოიცილა ყველა, ვინც თავის მხარეზე ეწეოდნენ.

— წავიდეთ, დედი, — დასთანხმდა მოხუც მანდილოსანს.

ცხენები ეძვნების წკრიალით გაქანდნენ.

— ყიზლარი ასე გახარებული ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, — თქვა მოხუცმა.

— დიახ, კარგად ხვდებით აბელიანს, — შენიშნა გვერდში მჯდომმა ახალგაზრდა ქალმა და თან სწრაფად დაუმატა, — თუმცა მას ყველგან ასე ხვდებიან.

— თქვენ მსახიობი ბრძანდებით, არა? — ჰკითხა მოხუცმა.

II.

სალაროს წინ უშველებელი რიგია...

მოხუცმა ქალმა თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა სალაროს მიუახლოვდა.

— რა ფასიანი და რამდენი? — ჰკითხა მოლარემ.

— აიღე ეს და რა ბილეთიც გინდა მომეცი, — უთხრა მოხუცმა და ქაღალდში გახვეული რაღაც ნივთი გადააწოდა.

მოლარემ თავი ასწია.

— აა, დედი, შენა ხარ? — ჩაილაპარაკა მან, — რა არის ეს?

შეკვრა გახსნა და გაკვირვებით შეხედა მოხუცს:

— ბილეთი მხოლოდ ფულზე იყიდება.

— ფული არა მაქვს, აბელიანი რომ არა ვნახო, არ შემიძლიან, — მოხუცს ხმა აუთრთოლდა, — აიღე ეგ კოვზი და ერთი ბილეთი მომეცი.

— ფული არა გაქვს და სადგურზე ეტლი წამოიყვანე? — გაიღიმა მოლარემ.

— არც მეეტლისათვის მიმიცია ფული, იმასაც კოვზი მივეცი. ეგ უკანასკნელია, ამაზე ძვირფასი არაფერი გამაჩნია.

— ჰო, მაგრამ...

— უარს ნუ მეტყვი, შვილო, — მოხუცს ცრემლი მოადგა თვალზე, — ქალაქიდან ქალაქში გადადიხართ და კოვზი ყოველთვის დაგჭირდებათ.

მოლარემ ყოყმანი დაიწყო, ხელახლა შეხედა მოხუცის თვალებს და უთხრა:

— კარგი, აიღე!

— გმადლობთ. შვილო, იცოცხლე დიდხანს, — უთხრა და ბილეთი გამოართვა.

III.

სპექტაკლის დასაწყებად უკვე მომზადებულმა აბელიანმა რეჟისორის თანაშემწეს გაასძახა:

— ბაგრატ, რატომ ზარს არ რეკავ? რვას ათი წუთი აკლია.

ბაგრატმა სთხოვა, ცოტა ხანს კიდევ მოვიცადოთო.

— რატომ? — იკითხა აბელიანმა.

— პოლიცმეისტერი პავლოვსკი ჯერ არ მოსულა.

— ვინ? — გაიკვირვა აბელიანმა,

— ქალაქის პოლიცმეისტერი.

— როდის იყო, რომ პოლიცმეისტერის გულისთვის წარმოდგენას ვაგვიანებდი! — ხმა აიმაღლა მსახიობმა.

— თეატრის დირექტორი ასე ამბობს...

— წადი, ზარი დარეკე ახლავე! — შეაწყვეტინა ბბელიანმა, — შენ გგონია პოლიცმეისტერი ჩემს სანახავად მოდის? თავისთავი უნდა აჩვენოს ხალხს. მეტი არაფერი!

ბაგრატი გავიდა, იმავე წუთს აბელიანს პირველი ზარის ხმა შემოესმა.

კარი გაიღო და ბურთივით შემოგორდა თეატრის დირექტორი:

— ბატონო აბელიანო, — ქაქანით დაიწყო მან, — რატომ გაეცით ზარის დარეკვის განკარგულება, ჯერ ხომ...

— პოლიცმეისტერი პავლოვსკი ჯერ არ მოსულა, არა? — თითქოს მისი სიტყვები განაგრძო მსახიობმა.

— დიახ, არ მოსულა! — აჩქარებით დაუმატა დირექტორმა.

— მერე, რა უშავს, უმისოდ იოლად წავალთ!

— ის ასეთ წარმოდგენებზე ყოველთვის მოდის.

— მაშინ რვა საათზე აქ უნდა ყოფილიყო!

მეორე ზარის ხმაც მოისმა.

— ბატონო აბელიანო! — უფრო მეტად შეშფოთდა თეატრის დირექტორი.

ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

— მობრძანდით, — გასძახა აბელიანმა, კართან მოლარე გამოჩნდა.

— ვარდუჰი, — ჰკითხა აბელიანმა შემოსულ ქალს — რა ამბავია?

— რვაას ორმოცდახუთი მანეთი და ერთი ვერცხლის კოვზი, — დღის შემოსავლის ჩვეულებრივი ანგარიში ჩააბარა მოლარემ.

— ვერცხლის კოვზი? — აბელიანმა ხმამაღლა გაიცინა — განა კოვზებზეც ჰყიდი ბილეთებს? ყოჩაღ, ისღა დაგვრჩენია, რომ ჭიქებზე და თეფშებზეც გავყიდოთ ბილეთები.

— იძულებული გავხდი, ბატონო, — წარმოთქვა მოლარემ, — მოხუცი ქალი იყო, შემომჩივლა ფული არა მაქვსო, თქვენი ნახვა კი ძალიან უნდოდა.

— მოხუცი ქალი? — სიცილი ბაგეებზე შეეყინა მსახიობს.

— დიახ, მოხუცი... დილას ეტლიც კი მოეყვანა თქვენთვის სადგურზე და მეეტლესათვისაც ფულის მაგიერ კოვზი მიეცა.

— რაო? მერე, მე რატომ არაფერი მითხარი?

— რა უნდა მეთქვა, — წაიბურტყუნა მოლარემ, — თუ კოვზი დასს არ დასჭირდება, ბილეთის ფასი ჩემი ხელფასიდან დაიკავეთ.

— ის მოხუცი მოსული იქნება?

— დიახ, — სწრაფად უპასუხა ვარდუჰიმ.

— აბა, ახლავე წადი დარბაზში და მომიყვანე, — უთხრა აბელიანმა. ბაგრატს კი უთხარი, მესამე ზარი დააგვიანოს.

— გმადლობთ! — წამოიძახა გახარებულმა დირექტორმა.

აბელიანმა უკმაყოფილოდ გადახედა მას, — აი მაგ მოხუცს უყვარს თეატრი. პატივცემულო დირექტორო. თქვენ კი აგიჩემებიათ — პოლიცმეისტერი პავლოვსკი, პოლიცმეისტერი პავლოვსკი...

— ახლა ყველაფერი კარგად მოეწყო, — წარმოთქვა დირექტორმა, თორემ რას ემსგავსებოდა, დარბაზის პირველი რიგის მთავარი სკამი ცარიელი რომ ყოფილიყო.

— ვინ ზის იმ სკამზე? — ჰკითხა აბელიანმა.

— პოლიცმეისტერი პავლოვსკი.

— ეგ კარგია. — წარმოთქვა მსახიობმა და ხელები მოიფშვნიტა.

— რა თქმა უნდა კარგია, — გამხიარულდა დირექტორი,

კარი გაიღო და ზღურბლზე მოხუცი ქალი გამოჩნდა.

აბელიანი მაშინვე ფეხზე წამოდგა, მოხუცს მიუახლოვდა, მისი ხელი ტუჩებთან მიიტანა და შემდეგ სკამი ახლო მიუწია.

— დაბრძანდი, ჩემო დაო'

დირექტორს სახე მოეღუშა, რამდენიმე წუთია ის ფეხზე დგას და მსახიობმა არც კი სთხოვა დაჯექიო.

— თქვენ მე მეძახდით? — წარმოთქვა მოხუცმა და მხოლოდ კეთილი გამოხედვით იცნო აბელიანი. გრიმსა და ტანსაცმელს ისე შეეცვალა, რომ მოხუცს მოეჩვენა თითქოს მის წინ მსახიობი კი არ იდგა, არამედ ამ ქალაქის ერთი მდიდარი კაცი, რომლისგანაც მთელ თავის სიცოცხლეში კარგი არაფერი ახსოვდა.

— დიახ, დაგიძახეთ, ჩემო დაო, — უთხრა მსახიობმა, — ვარდუჰი, მიეცი ის კოვზი.

მოლარე ახლად შემოსულს მიუახლოვდა. მას კი მოუსვენრობა დაეტყო.

— აიღეთ თქვენი კოვზი, ჩემო დაო!

— არ მესმის... — მოხუცმა გაუგებრად შეხედა მსახიობს.

— ვარდუჰი, ხუთი მანეთიც მიეცი...

მოხუცმა გონსმოუსვლელად გამოართვა გამოწვდილი კოვზი და ფული.

— ამ ფულით მეეტლეს უკანვე გამოართვი კოვზი. ვიდრე აქა ვარ, ჩემო დაო, თეატრში უფასოდ იქლით, ახლა კი...

— პატივცემულო აბელიანო, — მოხუცს ხმა ყელში ჩაუწყდა.

— საჭირო არ არის, დაო, — შეაჩერა მსახიობმა — თქვენ უკვე ყველაფერი სთქვით. ახლა, ვარდუჰი, წაიყვანე და დარბაზის პირველი რიგის ყველაზე საუკეთესო სკამზე დასვი.

— რას ამბობთ ბატონო! — წამოხტა დირექტორი.

— ბაგრატს უთხარი მესამე ზარი დარეკოს, — წყნარად უთხრა მსახიობმა მოლარეს. შემდეგ დირექტორს მიუბრუნდა — პოლიცმეისტერი რომ მოვიდეს, უთხარი სხვაგან გაატაროს დღევანდელი საღამო. ხვალ მე თვითონ გავცემ მას პასუხს. ახლა კი მარტო დამტოვეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ სცენაზე აბელიანი გამოჩნდა, მჭუხარე ტაშისაგან დარბაზი ზანზარებდა.

ამაყსა და შორსმჭვრეტელ აბელიანს სცენაზედაც მუდამ მაღლა ეჭირა თავი და შორს, დარბაზის უკანასკნელი რიგებისაკენ იცქირებოდა, იცოდა, რომ იქ ისხდნენ თეატრის ნამდვილი მოყვარულები. დღეს კი, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, მხოლოდ პირველ რიგს მიაჩერდა და ნეტარებაში მყოფ მოხუცს გაუღიმა, რომელიც ასე ამაყად, თავაწეული დამჯდარიყო მდიდრულად მორთული ბატონების, ქალბატონებისა და მათი ქალიშვილების გვერდით და სიყვარულით შესცქეროდა მსახიობს.

სომხურიდან თარგმნა
მარინე მამაცაშვილმა

ილია არწსია

[illegible]

როგორ გშვენის მშობლიური
მზით და ცეცხლით წვა!
სიყვარულო, შეგიძლია
სიამაყით თქვა:
— ყველა ქვეყნის ვარ,
ყველა ხალხის ვარ,
მე ქართველი ვარ,
რუსთაველი ვარ!
უნაპირო სიხარულის
აქ ვიპოვეთ ზღვა!
გმირობის და მეგობრობის
სასიკეთო გზა,
ვინ გვაჩვენა კალმოსნებში
უკეთესად სხვამ —
ხალხის სულში ჩაეხედოს
და შენსავით თქვას:
— ყველა ქვეყნის ვარ,
ყველა ხალხის ვარ!...

[illegible]

მზე რომ ჩავიდა, დიდი ხანია,
მას შემდეგ კარგა დროა გასული
და მაინც ცისკენ მიმიხარია, —
მთას მიფარვია თეთრი ბასული...

ულამაზესი სახე უელავს,
ვიცი ფიქრები ცაში აზიდა,
უცებ დაფარა შავმა ღრუბელმა,
მაგრამ ღრუბელიც თავად გაწითლდა.

ახლა, როდესაც ჩაქრა სიწითლეც,
დასავლეთის ცა წარბშეკრულია, —
თითქოს და ამით გვამცნობს, გვაუწყებს,
მზე რომ სიცოცხლის წრფელი გულია,

[illegible]

მე დავივიწყე... და მაინც იგი
გულის კიდეზე გამკრავს ხანდახან,
რა ხდება ჩემში — ველარ გავიგე,
იმისი სახე მუდამ რად მახლავს?

ისევ, იმგვარად რად მიძგერს გული,
რატომ ვერ ვამჩნევ დღეთა აღსასრულს,
იმაგე ტრფობით ვარ ანთებული,
მსურს მასთან ყოფნა, მსურს და არცა მსურს.

გიძახი: ისევ იხარეს იმან,
ამინთოს სახე. მიცვალოს ფერი,
არცა მაქვს სხვა გზა, იმავ გზით მივალ,
ო, სულ დედაო მიწაოს ვმღერი.

მწერალი და მოქალაქე

ანდრო თევზაძე

ჩვენი ლიტერატურის ისტორია იცნობს მწერლებს, რომელთაც პირველხარისხოვანი როლი არ შეუსრულებიათ ხალხის სულიერ ცხოვრებაში, მაგრამ მაინც იმდენი გაუკეთებიათ, ისეთი უანგარო ღვაწლი დაუდვიათ ჩვენი კულტურის წინსვლის საქმისათვის, რომ მათი დავიწყება უმართებულო იქნებოდა.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა სილიბისტრო თავართქილაძე, რომელიც მწერლობაში ცნობილი იყო რემონიძის ფსევდონიმით. ამ ცოტა ხნის წინათ შესრულდა 85 წელი მისი დაბადებიდან.

მისი ცხოვრების გზა მეტად მძიმე და ეკლიანი იყო. სიყრმის წლებშივე, უსახსრობის გამო, სილიბისტრომ სკოლას თავი მიანება და ასოთამწყობის ხელობა შეისწავლა.

ახლოვდებოდა პირველი რევოლუციის წლები. ახალგაზრდა სილიბისტრო თავიდანვე გაიტაცა ხალხთა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ. ჯერ ისევ ოზურგეთისა და ახალსენაკის სტამბებში მუშაობის დროს მან თავისი ხელით ააწყო და დაბეჭდა რსდმპ გურიის კომიტეტის რამდენიმე პროკლამაცია. ეს ამბავი გაუგებარი არ დარჩა ჟანდარმერიისათვის და ამიერიდან მას დევნა დაუწყეს.

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ს. თავართქილაძე თავს აფარებს შორეულ აღმოსავლეთს, შემდეგ მას ქ. ხარბინში ვხედავთ, აქ იგი კვლავ ეწევა რევოლუციურ მუშაობას, ხარბინის სტამბაში აწყობს და ბეჭდავს მგზნებარე პოლიტიკურ ფურცლებსა და ბროშურებს.

1908 წელს თავართქილაძე უკვე სამშობლოშია, მომდევნო წლების მანძილზე იგი განაგრძობს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ხსნის წიგნის მაღაზიას, რათა უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს ნებადართულ წიგნებთან ერთად ფარულად გაავრცელოს აკრძალული, არალეგალურად გამოცემული წიგნები.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია ცნობა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ სოფ. ჩოხატაურის მცხოვრები, წიგნის მაღაზიის მეპატრონე სილიბისტრო თავართქილაძე, 1911-1912 წლებში აღრიცხული ჰყოლია კავკასიის „ოხრანკის“ განყოფილებას, როგორც „არასაიმედო პიროვნება“. 1912 წლის 11 მაისს ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი წერს წარდგინებას თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს, რომ „მოახდინეს სილიბისტრო თავართქილაძის წიგნის მაღაზიის ჩხრეკა და აღმოაჩინეს აკრძალული ლიტერატურა“. ს. თავართქილაძე, სტამბის მეპატრონეებთან — ა. კოხრეიძესა და ვ. ხელაძესთან ერთად, პასუხისგებაში მისცეს იმის გამო, რომ მათ გამოსცეს და გაავრცელეს წიგნაკი „კომუნა, 1871 წელი“. ამ წიგნაკში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ჩვენი ვალია შეერთება, საომრად მზადება უფლებების მოსაპოვებლად, სოციალისტური ცოდნის და განვითარების შეძენა, რომ მომავალ რევოლუციას უფრო შეგნებით და მომზადებულად დავხვდეთ, ვიდრე ჩვენი ფრანგი თანამოძმეები 1871 წელს“. იმავე ხანებში გამოდის ს. რემონიძის მოთხრობების პატარა კრებული — „სილუეტები“, რომელიც ასევე საბრძოლო სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. ჟანდარმებმა ეს წიგნიც აკრძალეს, ხოლო ს. რემონიძე ციხეში დაამწყვდიეს.

1915 წელს, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ს. თავართქილაძე მუდმივ საცხოვრებლად გადმოდის თბილისში და აარსებს საკუთარ გამომცემლობა „განათლებას“. „განათლებამ“ გამოსცა მრავალი დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი, მათ შორის, პირველ რიგში აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ (I ტომი), ი. იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, დ. ყიფიანის „მემუარები“, გ. ახვლედიანის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, გ. თევდორაძის „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“ და სხვ.

მეწშვეიკების ბატონობის წლებში ს. თავართქილაძე მთელ საქართველოში ავრცელებდა ბოლშევიკურ გაზეთებს.

ს. თავართქილაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ მწერალ ჭოლა ლომთათიძესთან. სიყრმის წლებში ისინი ერთ სკოლაში სწავლობდნენ და უახლოესი მეგობრები იყვნენ. ჭოლა ლომთათიძეს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ შეუწყვეტია მიწერ-მოწერა სილიბისტრო თავართქილაძესთან. ეს წერილები გამოგზავნილი ჭოლას მიერ ასტრახანიდან და სარატოვიდან 1911-1915 წლებში, ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში.

ს. თავართქილაძის პირველი მოთხრობა „დედინაცვალი“ დაიბეჭდა 1903 წელს, გაზეთ „ივერიაში“, ამის შემდეგ იგი სისტემატურად თანამშრომლობდა „ივერიაში“, „კვალში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“, „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“. ამ ნაწარმოებთა უმრავლესობა შევიდა ავტორის პირველ წიგნში „სილუეტები“, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხსენეთ.

ეს მოთხრობები გვიხატავენ ქართველი გლეხკაცის უმწეო მდგომარეობას, ხალხის ცხოვრების სიდუხჭირეს, უუფლებობას, მეფის მოხელეების შეუზღუდველ თარეშს, ამასთან, ავტორი გადმოგვცემს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის საინტერესო ეპიზოდებს.

1917 წელს თბილისში გამოდის ს. რემონიძის მოთხრობების საკმაოდ მოზრდილი კრებული. ამ მოთხრობებში ჩანს ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოვარაყებული სიბინძურის სამეფო“, სადაც უსინდისობა, შეუბრალებლობა და უსამართლობაა გაბატონებული. ესაა სამყარო, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე, ესაა სამყარო კაპიტალისა, რომელმაც აბუჩად აიგდო პატიოსანი და საწყალი ადამიანი. „სხვაი რა მოგახსენო და ამაში კი დავრწმუნდი, რომ სიმდიდრე პატიოსნებით არ შეიძინება“, — ამბობს ერთი გლეხკაცი, გმირი მისი მოთხრობისა „პატივისცემა“; „აბა პატიოსანის ოფლის ღვრით სად, როდის, ვინ გამდიდრებულა“ — კითხულობს გაკვირვებით მეორე გლეხი (მოთხრობა „შეურაცხყოფილი“); ს. რემონიძის გმირები, მათი ცხოვრება, ფიქრები და ბედი მკითხველს ხშირად გაახსენებს ხოლმე გოგია უიშვილს, კაცია მუნჯაძეს, დავით დროიძეს, სიმონა ძალაძესა და სხვებს. ეს გასაგებიც არის. ჩვენს მწერლობაში ეგ. ნინოშვილის გავლენა მეტად დიდი იყო და, რა თქმა უნდა, რემონიძეც ვერ ასცდა ამ გავლენას.

მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ს. რემონიძემ თქვა თავისი ახალი სიტყვაც, მან ასახა არალეგალური მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდები. ამ მხრივ ჩვენი ხალხის ისტორიისას, რევოლუციამდე, ჭოლა ლომთათიძის გარდა, იშვიათად თუ ვინმე შეხებია. მწერალმა არა ერთი მოთხრობა მიუძღვნა საქართველოში არალეგალური რევოლუციური მუშაობის ისტორიას („მაისობა“, „ჩემი ტფილისი“, „მატარებელში“, „ილიკო“).

ს. რემონიძე ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც. 1903 წელს, მან თარგმნა და „კვალში“ გამოაქვეყნა ჩეხოვის „ქალები“, შემდგომში თარგმნა იმავე ავტორის „შურისმაძიებელი“ და „ოჯახის მამა“, მ. მელიკოვის „სკამს ქვეშ“ და სხვ. 1927 წელს რემონიძემ რუსულიდან თარგმნა და ცალკე გამოსცა დიდი ინდოელი მწერლის რაბინდრანათ თაგორის მოთხრობა „მემკვიდრეობის დარაჯი“; მთარგმნელმა ამ მოთხრობას თან დაურთო წერილი თაგორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ეს იყო პირველი ქართული თარგმანი თაგორის ნაწარმოებისა და პირველი წერილი თაგორის შესახებ ქართულ ენაზე.

საყურადღებოა ს. რემონიძის ღვაწლი საბავშვო მწერლობის წინაშე. პირველი მისი საბავშვო მოთხრობა „პატარა ქურდი“ დაიბეჭდა „ჯეჯილში“ (1903 წ. № 10). მისი საბავშვო მოთხრობები ყურადღებას იქცევენ სიწრფელით, უშუალობით, ბავშვისათვის მიმზიდველი და გასაგები ენით.

რემონიძის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიული ნარკვევი „ეგნატე ნინოშვილი“, ამ ნარკვევში წარმოდგენილია მანამდე უცნობი მასალებიც, კერძოდ ეგნატეს წერილები ნადასი კალანდაძისადმი, გიორგი წერეთლის წერილები ეგნატესადმი და სხვ. ამას გარდა ს. რემონიძემ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო მოგონება ჭოლა ლომთათიძეზე.

ს. რემონიძე პიესებსაც წერდა. 1925 წელს გამოვიდა მისი სამმოქმედებიანი დრამა „პირველი ლაღუმი“ („1905 წელი გურიაში“), 1928 წელს დაიბეჭდა მისი პიესა „ადამიანი“ და ორი საბავშვო პიესა — „ქურდი“ და „ძირს ჩადრი“. ამას გარდა, მან პიესად გადააკეთა და ცალკე წიგნად დაბეჭდა თავისი მოთხრობა „ძმები“. ყველა ეს პიესა იმ პერიოდში ხშირად იდგმებოდა სასოფლო და სასკოლო სცენებზე.

ს. რემონიძის მოთხრობების ენა ბუნებრივია, სადა და ნათელი; მასში გურული კილოკავის ფორმებიც გვხვდება.

სილიბისტრო რემონიძე უანგარო ადამიანი იყო, დაუზარელი მშრომელი და კაცთმოყვარე, ახალგაზრდობის მეგობარი. იგი სწავლისათვის სოფლიდან ჩამოსულ ყმაწვილებს მუდამ ეხმარებოდა გზის გაკვლევაში. პირადად მეც დიდად დავალებული ვარ მისგან. როგორც კი ჩამოვედი თბილისში, დამიმეგობრა, წიგნებით მასაჩუქრებდა, მარიგებდა და მამხნევებდა. ზოგჯერ თავისი გულის დარღსაც გამიმხელდა ხოლმე.

ს. რემონიძემ ბევრი კარგი და სასარგებლო მუშაობა გასწია ქართული ლიტერატურისა და კულტურის დარგში. მის მიერ გამოცემულმა ქართველ მწერალთა და მეცნიერთა წიგნებმა, მისმა შოთხრობებმა კარგი სამსახური გაუწიეს ჩვენი ხალხის, ქართველი ახალგაზრდობის სულიერი აღზრდის საქმეს.

ს. რემონიძე გახდა მსხვერპლი 1936-1937 წლების უჩვეულო რეპრესიებისა და ფიზიკურად სუსტი და ხანგრძლივი შრომისაგან ჯანგატეხილი მწერალი გადასახლებაში დაიღუპა.

1961 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ ამ სტრიქონების ავტორის რედაქციით გამოსცა ს. რემონიძის რჩეული საბავშვო მოთხრობები, სახელწოდებით „ბუნების წიაღში“, რომელშიც ცამეტი მოთხრობა შევიდა.

წელს სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოსცემს ს. რემონიძის „რჩეულ ნაწერებს“ ჩვენივე რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით.

პირველი პოეზიაზეიზთა პორის

ფოტო
გ. კიკავაძისა

სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის პაიჭაძე (მარცხნივ) და გაზეთ „თბილისის“ სპორტული განყოფილების გამგე ოთარ გაგუა გადასცემენ გაზეთ „თბილისის“ მიერ დაწესებულ პრიზს ილია დათუნაშვილს.

ეს იყო 1961 წლის 19 ივლისს, რიგაში. სასტუმროს ნათელ და მყუდრო ოთახში ვისხედით შოთა იამანიძე, ილია დათუნაშვილი, ზაურ კალოევი და ამ სტრიქონების ავტორი, რამდენიმე საათის შემდეგ „დაუგავას“ სტადიონზე საპასუხისმგებლო მატჩი ელოდა თბილისის დინამოელებს. ილია დათუნაშვილს მიხეილ მესხი უნდა შეეცვალა მარცხენა ფრთაზე. წინა დღით საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი შეხვდა თურქეთის ეროვნულ ნაკრებს ჩილის საგზურის მოსაპოვებელ მატჩში. მიხეილ მესხი და გივი ჩოხელი საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდნენ. სერგო კოტრიკაძე კი სათადარიგო სკამზე იჯდა, მატჩის შემდეგ მე და სერგო რიგაში გადავფრინდით. მიშა და გივი კი ისევ მოსკოვში დარჩნენ, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები არგენტინის ეროვნულ ნაკრებ გუნდს უნდა შეხვედროდნენ.

ილია დათუნაშვილს უკვე ბევრი თამაში ჰქონდა ჩატარებული თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მას ჯერ არც ერთი ბურთი არ ჰქონდა გატანილი მოწინააღმდეგის კარში (რასაკვირველია, იგულისხმება საკავშირო ჩემპიონატი).

— ილო, გოლის გატანას დღესაც არ აპირებ, დროა, ძმაო, დრო! ამდენ თამაშში გოლი ვერ გაიტანო, ცოტა უხერხულია! — უთხრა ზაურ კალოევმა თავის ახალგაზრდა მეგობარს.

— ვნახოთ, იქნებ დღეს გამიმართლოს... — უპასუხა ილომ და ფეხზე წამოდგა. იგი თვითონაც გრძნობდა, დრო იყო ბურთი გაეტანა.

რამდენიმე საათის შემდეგ თამაში დაიწყო. მე ეროსი მანჯგალაძესთან ვიყავი კაბინაში. ჩვენს დიქტორს მხოლოდ მეორე ტაიმი უნდა გადაეცა და პირველი ტაიმის ყველა ღირსშესანიშნავ მომენტს დაწვრილებით იწერდა ქაღალდის ფურცელზე.

აი, პირველი ტაიმიც დამთავრდა. ეროსი სიხარულს ვეღარ მალავდა. ერთი სული ჰქონდა, სანამ თბილისთან დააკავშირებდნენ. სიხარულის მიზეზიც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა. პირველსავე ტაიმში ორი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს თბილისელებმა, პირველი — ვლ. ბარქაიამ და მეორე— ილია დათუნაშვილმა.

ეს იყო ილია დათუნაშვილის პირველი გოლი.

მეორე ტაიმში შოთა იამანიძემ ანგარიში სამამდე გაზარდა. ბუნებრივია, ქართველი ფეხბურთელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წამოსვლისას თვითმფრინავში საზეიმო განწყობილება სუფევდა. ილოს ყველამ მიულოცა, პირადი ანგარიშის გახსნა.

ლაპარაკი ბურთის გატანაზე ჩამოვარდა. ახლა ზუსტად აღარ მახსოვს ვის მიერ გატანილ გოლზე იყო ლაპარაკი. მგონი, მოსკოვის „სპარტაკზე“ ვკამათობდით. ვიღაცამ თქვა, იმ ბურთს რა გატანა უნდოდა, მარტო ფეხის დახვედრება სჭირდებოდაო.

ზაურ კალოევმა უარის ნიშნად თავი გააქნია და თქვა:

— არ დაჯერეთ. ეგრე არ არის საქმე, ყველა ბურთს გატანა უნდა!

ამ სიტყვების სიმართლეში არა ერთხელ დავრწმუნებულვარ, როცა მეკარის პირისპირ გასულ „ვარსკვლავებსაც“ კი მარცხი მოსვლიათ (ვინ მოსთვლის რამდენჯერ!), სულ ახლო მანძილიდან ცარიელ კარშიც კი ვერ გაუტანიათ გოლი.

დიახ. ყველა ბურთს, ყველაზე იოლ ბურთსაც კი გატანა უნდა. გაიხსენეთ რაკოშის მარცხი ინგლისის ჩემპიონატში, საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ თამაშის დროს. სრულებით ცარიელი კარი. ბურთი ნელა მიგორდა რაკოშისთან, წინ არავინ ეღობება, ხელს არავინ უშლის, ტრიბუნებზე არ იყო კაცი, რომელსაც არ სჯეროდა, რომ ანგარიში გათანაბრდებოდა — 2:2 გახდებოდა, მაგრამ უნგრეთის ფეხბურთის აღიარებულმა ოსტატმა მაინც „მოახერხა“ ბურთის აცდენა კარისათვის.

დიახ, ყველა ბურთს გატანა უნდა.

ყველას კარგად გვახსოვს ზაურ კალოევის მიერ გატანილი ბურთები. მისი ინტუიცია კარგად იყო ცნობილი ჩვენი გულშემატკივრებისათვის. თბილისელთა ბომბარდირი ადგილების შერჩევის შესანიშნავი ოსტატი იყო.

მაგრამ განა მაშინ ცოტანი ამბობდნენ, „ზაურ კალოევს ხან მესხი არტყამს ბურთს თავში და ხან მეტრეველიო!“.

არავინ არ უარყოფს თბილისელთა შესანიშნავი გარემარბების ღვაწლს კალოევის მიერ გატანილ გოლებში. ფეხბურთი კოლექტიური თამაშია და ყველა გოლი (მათ შორის, ყველაზე ინდივიდუალური გოლიც კი) კოლექტიური მოქმედების შედეგია. მაგრამ, აი, რამდენიმე წელია ზაურ კალოევმა დასტოვა მწვანე მოედანი და ჩვენს გარემარბებს კარგა ხანია, აღარავისთვის „გაურტყამთ“ თავში ბურთი.

ხშირად, როცა ფეხბურთელი ადგილს კარგად შეარჩევს, მის მიერ გატანილი ბურთი გამოუცდელი კაცის თვალში იოლი გოლის შთაბეჭდილებას სტოვებს. მაყურებელს ავიწყდება, რომ მთავარი სირთულე ფეხბურთელმა მანამდე გადალახა, სანამ ბურთი მასთან მივიდოდა. მან წინასწარ, ინტუიციით იგრძნო ხელსაყრელი პოზიცია. მაყურებელი ძირითადად ბურთს ადევნებს თვალს. მისთვის შეუმჩნეველი დარჩა ფეხბურთელის მანევრი. მისი მხედველობის არეში კი გოლის გამტანი ფეხბურთელი მაშინ მოექცა, როცა ამ უკანასკნელს ბურთი ხელსაყრელ პოზიციაში მოუვიდა. მერე თითქოს ყველაფერი ადვილი იყო...

მას შემდეგ გავიდა დრო და ილია ათუნაშვილმა დაამტკიცა, რომ მას აქვს კარის შესანიშნავი გრძნობა, ინტუიცია. გარდა ამისა, იგი საკმაოდ სხარტია და კარის სიახლოვეს არ იბნევა. ერთი და ორი ბურთი როდი გვახსოვს ილიას მიერ ძალზე ოსტატურად და ლამაზად გატანილი. არც ის იქნებოდა სამართლიანი თუ ვიტყვით, რომ დათუნაშვილს ბურთები მხოლოდ პოზიციის შერჩევის წყალობით გაჰქონდეს. ჩვენს გულშემატკივრებს ახსოვთ ილიას მიერ გატანილი ისეთი ბურთებიც, რომლებიც ფეხბურთელისაგან მაღალ ტექნიკასა და ოსტატობას მოითხოვდნენ. გავიხსენოთ თუნდაც წლევანდელ სეზონში დათუნაშვილის მიერ ბაქოში გატანილი გოლი, აგრეთვე მეორე და მეოთხე გოლები „არარატის“ კარში. ასეთი ბურთები კი ცოტა როდი აქვს გატანილი ილია დათუნაშვილს.

კიდევ ერთი კარგი თვისება აქვს ამ ფეხბურთელს. იგი, დროთა მანძილზე, გუნდის გაჯირვების ტალკვესი იყო. ილია დათუნაშვილს უთამაშია ნახევარმცველად, შუამარბად. იგი მიმდინარე სეზონშიც ხან მარცხენა გარემარბად თამაშობდა, ხან მარჯვენა გარემარბად.

ილია დათუნაშვილი ძალზე წესიერი, თავდაჭერილი სპორტსმენია. ამიტომ უყვარს იგი გუნდში ყველა ფეხბურთელს.

ილია დათუნაშვილის სპორტულ ბიოგრაფიას არა ერთი დრამატული და ემოციური ელემენტებით აღსავსე ეპიზოდი ამკობს. მისთვის მაინც ყველაზე ბედნიერი იყო 1964 წელი; ილია დათუნაშვილის მეხსიერებიდან არასდროს არ ამოიშლება ხსენებული წლის 18 ნოემბერი, როცა ჩემპიონის ოქროს მედლების მოსაპოვებლად ტაშკენტში, „პახტაკორის“ სტადიონზე ერთმანეთს შეებნენ თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“.

მეორე ტაიმი იწყებოდა, ანგარიში კი 1:0 იყო მოსკოველების სასარგებლოდ. ილია დათუნაშვილმა სწორედ მაშინ გაიტანა თავისი ცნობილი კუთხური და წონასწორობა აღადგინა. დამატებით დროში მანვე გაიტანა მეორე ბურთი. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა. ილია დათუნაშვილი იმ ჩემპიონატში მარტო ტაშკენტის მატჩის გმირი როდი იყო. ჯერ კიდევ როსტოვში, როცა ქართველი ფეხბურთელები ლიდერობისათვის იბრძოდნენ, თბილისელები მატჩს აგებდნენ 0:1. თბილისელებმა ჯერ გაქვითეს ანგარიში, შემდეგ კი მოიგეს — 2:1. გადამწყვეტი ბურთი ილია დათუნაშვილმა გაიტანა. სხვათა შორის, იმ სეზონში ეს იყო ერთადერთი მატჩი, როცა სტუმრები თამაშს აგებდნენ და საბოლოოდ მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვეტეს.

ID. 369.

საქართველოს სსრ. სახ. ბიბლიოთეკა
რეფერენციული ბიბლიოთეკა

ილია დათუნაშვილმა იმ ჩემპიონატში მხოლოდ 23 მატჩი ითამაშა და თორმეტი სუფთა ბურთი გაიტანა. თორმეტი ბურთი გაიტანა აგრეთვე სლავა მეტრეველმაც (მათ შორის, რამდენიმე პენალტი).

1966 წლის საკავშირო ჩემპიონატი კი ნამდვილად უხვგოლიანი იყო ილია დათუნაშვილისათვის. იგი თავიდანვე ჩადგა ბომბარდირთა რიგებში, მაგრამ შემდეგ მას გაასწრეს ბიშევეცმა და კაზაკოვმა და კიდევ რამდენიმე თავდამსხმელმა. ერევნის „არარატის“ კარში ხუთი ბურთის გატანის შემდეგ ილია დათუნაშვილი კვალში ჩაუდგა კიეველ ბიშევეცს. დიდხანს გაგრძელდა მათი დუელი. ერთხელ სულ ნახევარი საათით გაასწრო ილიამ ბიშევეცს ერთი გოლით, როცა მოსკოვის „ლოკომოტივთან“ გაიტანა საერთო რიცხვით თავისი მეთექვსმეტე გოლი. ნახევარი საათის შემდეგ ბიშევეცმაც გაიტანა ბურთი და წამოეწია თბილისელთა ბომბარდირს.

შემდეგ თბილისში გაიტანა ილიამ მეჩვიდმეტე გოლი დონეცკის „შახტიორთან“ (ამ დროისათვის ბიშევეცსაც უკვე ჩვიდმეტი გოლი ჰქონდა გატანილი). ამავე მატჩზე ილიას ჰქონდა წინ წასვლის საშუალება, მეგობრებმა მას მიანდეს პენალტის დარტყმა, მაგრამ დათუნაშვილმა, რომელსაც გატანილი აქვს ოთხი კუთხური დარტყმა, თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან ბურთი ააცილა კარს.

ბიშევეცმა კი კარგად გამოიყენა თანაკლუბელების ანალოგიური საჩუქარი და პენალტით დაწინაურდა; ამას მოყვა კიდევ ერთი ბურთი და იგი 19 გატანილი გოლით მტკიცედ მოექცა სათავეში ბომბარდირთა სიას.

თითქოს „ტრუდის“ პრიზის ბედი, რომელიც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს ენიჭება, გადაწყვეტილი იყო; იგი უნდა მინიჭებოდა ახალგაზრდა კიეველ ფორვარდს ბიშევეცს, მაგრამ ილია დათუნაშვილმა უკანასკნელ მატჩში სამი ბურთი გაახვია ქუთაისელთა კარების ბადეში. (მათ შორის, ერთი პენალტი, რომლის დარტყმაც კვლავ ერთსულოვნად მიანდეს მეგობრებმა) და მოიპოვა ყველა ფეხბურთელისათვის საოცნებო და საპატიო პრიზი.

ოცი ბურთი ერთ ჩემპიონატში ცოტა როდია, მით უმეტეს ახლა, როცა კარის დაცვის ხელოვნება ძალზე ამაღლდა და ბურთის გატანა უფრო და უფრო ძნელი ხდება.

ილია დათუნაშვილმა ამავე სეზონში დაამყარა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებური საკავშირო რეკორდი — ერთ ტაიმში გაიტანა ხუთი ბურთი. ესეც უპრეცედენტო შემთხვევაა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში. ამით მანვე მოიპოვა გაზეთ „თბილისის“ პრიზი „ოქროს ბუცი“ ერთ თამაშში გატანილი ყველაზე მეტი გოლისათვის.

ილია დათუნაშვილი თითქმის ყოველ სეზონში რაიმე სიურპრიზით აოცებს და ახარებს ქართველ გულშემატკივრებს. რას გვპირდება იგი მომავალ ჩემპიონატში?

ვნახოთ, მით უმეტეს, უკვე იგრძნობა მოახლოებული სეზონის ხუნთქვა.

გურამ ფანჯიკიძე

გასწორება

„დროშის“ გასული წლის მე-11 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „პირველი ნაბიჯებიდან დღევანდლამდე“ შეცდომით აღნიშნულია თითქოს „ჰამლეტის“ დადგმა რუსთაველის თეატრის სცენაზე ეკუთვნოდა რეჟ. მ. თუმანიშვილს. სინამდვილეში ეს პიესა დადგა რეჟ. დ. ალექსიძემ.

სასწაულები

ესკიზი

აჰა, როგორც იყო, მიიწურა ძველი წელიწადი. გადავხედე მას და გავიფიქრე — რამდენი რამ მოსაგონარი დამიტოვა... დავიწყებ თავიდან.

ეს იყო იანვრის პირველ რიცხვებში, სამსახურში ჩემთან მოვიდა ერთი უცნობი კაცი და მკაცრად შემეკითხა:

— თქვენია ეს ხელმოწერა? — მან განცხადება მიჩვენა, რომელშიც ვთხოულობდი ბინაზე ტელეფონი დაედგათ ჩემთვის.

— დიახ, ჩემია!

— მერე და მოკალაქეო, დაგვცინი თუ რაშია საქმე? მთელი კვირას ეს განცხადება უქმად დევს; რატომ არ შეგვახსენე, ხომ იცით ათასი საქმე გვაქვს, ხანდახან შეიძლება ვინმე გამოგვრჩეს.

— ბოდიში ბატონო, ვეღარ შეგახსენეთ.

ის კაცი შეტრიალდა და გავარდა ოთახიდან. ვერაფრის თქმა ვეღარ მოვასწარი. სამსახურის დრო იწურებოდა, როცა ჩემს სამუშაო ოთახში ტელეფონი აწკრიალდა, დავწვდი მილს, ავიღე და ჰოი, საოცრებავ, ჩემი ცოლი ჩემივე ბინიდან მირეკავდა.

— დღეს დაგვიდგეს, — მესმოდა მილიდან, — მოვიდნენ ოსტატები და უცებ გააკეთეს ყველაფერი.

ეს იყო პირველი სასწაული: ტელეფონი დამიდგეს ბინაზე ისე, რომ განცხადების მიტანის შემდეგ მე არ მიმიკითხავს.

მერე კი ეს სასწაულები ისე მომრავლდა, რომ უკვე ჩვეულებრივ ამბად გადაიქცა: ტრამვაიში, ტროლეიბუსში, ავტობუსში ყველა უკანა ბაქნიდან ადიოდნენ და წინა ბაქანიდან ჩამოდიოდნენ, ისე რომ ტრანსპორტში გაუქმდა კონდუქტორის შტატგარეშე ასისტენტების თანამდებობა, — ბილეთების ფულის გადაწოდება და ბილეთების გადმოწოდება. ხოლო წინა ბაქნიდან თუ ამოვიდოდნენ მოხუცები და ჩვილბავშვიანები, ყველა მგზავრი უმალ უთმობდა მათ ადგილს დიდი მოკრძალებით.

არა, კარგი იყო ეს ძველი წელიწადი. აბა წინა წლებში ვინ იფიქრებდა, რომ წყალგაყვანილობის, დასუფთავების, ელექტროგაყვანილობისა და სხვა ტრესტები ასე შეხმატკბილებით იმუშავებდნენ — ერთის მიერ ათხრილ მიწას, მეორეც იმ წამსვე გამოიყენებდა და არ იქნებოდა ტრანშეების გაუთავებელი თხრა. სასწაულია, მაშ რა არის?

სასწაულები კიდევ ბევრი იყო, მაგრამ ბოლო შემთხვევამ ყველაფერს გადააჭარბა. ეს წერილი რომ მივიტანე რედაქციაში, რედაქციის თანამშრომელს არ უთქვამს ერთი კვირის შემდეგ გამოიარეო. აი უკვე დაბეჭდილი ვნახე და თქვენც ხომ უკვე წაიკითხეთ.

გივი ჯოხაძე

ეროვნული გაბოუქვეყნებელი ლექსის გამო

მიხეილ ხელთუფლიშვილს

მ. ლერმონტოვის „მწირი“ პირველად ქართულ ენაზე თარგმნა პოეტმა გრიგოლ დავითის-ძე აბაშიძემ; თარგმანი ცალკე წიგნად გამოვიდა 1892 წელს, ქუთაისში. მთარგმნელს „მწირის“ ერთი ეგზემპლარი მიხეილ ხელთუფლიშვილისათვის უჩუქებია. წიგნის სატიტულო ფურცელზე გრ. აბაშიძეს წაუწერია ხელთუფლიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი, საიდანაც ირკვევა, რომ ხსენებული პოემა მას მ. ხელთუფლიშვილის წაქეზებით უთარგმნია.

გრ. აბაშიძის ეს ლექსი დღემდე გამოუქვეყნებელი იყო. ქვემოთ მოგვყავს იგი მთლიანად:

მსურს ამა წიგნის ფურცლებზე
მოგწერო მცირე შაირი,
მოგიძღვნა, ძმაო მადლობა,
მრავალი ათასნაირი.

რადგან, რომ „მწირის“ ქართულად
გალექსვა — შენი ბრალია;
რომ შენ არ — სიზარმაცემა
კიღამ დამრია ძალია —

მსწრაფლ შემიჩერა კალამი
გადამაყოლა ლხენასა...
მაგრამ გამიჩნდი მრჩეველად,
დიდება ჩემგან ზენასა!

წრფელისა გრძნობით აღსავსემ
მუდმივის ძმურის რჩევითა
შემაკამათე კვლავ შრომას
გულის სიამით, ძგერითა.

დღეს ვგრძნობ სიამეს — თითქოს ვსვამ
თვით უკვდავების წყაროსა...
გმადლობ! ვინატრი ხანგრძლივად
მიშამაც გაიხაროსა!...

1. I. — 1893 წ.

მიხეილ ბესარიონის-ძე ხელთუფლიშვილი იყო მწერალი-პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, ავტორი ცნობილი წიგნისა «Вступление Грузии в состав российской империи». 1901 წ.

ალ. გვასალია

სად რა ამბავია

ამერიკული არმიის სერჟანტი

პენტაგონმა სპეციალური სამხედრო წოდება დააწესა სამხრეთ ვიეტნამში განლაგებული თავისი ძალლების ბატალიონის პირადი შემადგენლობისათვის. ამ ბატალიონის ბულდოგებს და ჭოფაკებს, რომლებიც სამხედრო ბანაკებში გადიან წვრთნას, შესაძლებლობა მიეცათ თანდათან წაიწიონ წინ და სერჟანტის წოდებამდე დაწინაურდნენ.

სერჟანტის წოდება პირველად ბულდოგმა კლინკერმა მიიღო. გამორიცხული არ არის, რომ პენტაგონი მალე თავის ძალლებს ნებას დართავს კიდევ უფრო მაღალი სამხედრო წოდებები დაიმსახურონ. ასეთ შემთხვევაში ბულდოგ კლინკერს აქვს შანსები, რომ გენერლის ჩინამდე მიაღწიოს. ამ საპატიო წოდებისათვის ოთხფეხ სერჟანტს ყველა საჭირო თვისება გააჩნია.

ცოცხალი ავგაროზი

საფეხბურთო კლუბს „კელნს“ ყველა თავის მატჩზე, თვით სხვა ქალაქებში მოგზაურობის დროსაც კი, თან დაჰყავს თხა, რომელიც გუნდს ცოცხალი ავგაროზის მაგივრობას უწევს. ერთხელ, როცა „კელნმა“ თამაში დიდი ანგარიშით წააგო შედარებით სუსტ გუნდთან, ეს სენსაციური ამბავი პრესამ იმით ახსნა, რომ თხა სტადიონზე არ დაუშვეს და „ავგაროზმა“ ვერ შეძლო თავისი ადგილი დაეკავებინა კარის უკან.

სამართლე უნდა ითქვას, რომ უთხოდ დარჩენილი გუნდი ამ მატჩში მართლაც შესამჩნევად ნერვიულობდა და თამაში ვერ ააწყო.

აულაყუდების კლუბი

ახალგაზრდა შვედმა, რომელიც ყველაზე მაღალი ადამიანია მთელ ევროპაში (მისი სიმაღლეა 2 მეტრი და 38 სანტიმეტრი, ფეხსაცმლის ზომა— 54), ამას წინათ სტოკჰოლმში დააარსა აულაყუდების კლუბი; კლუბის მიზანია დახმარება გაუწიოს გასაჭირში ჩავარდნილ გოლიათებს. როგორც ცნობილია, მაღალი ტანის ადამიანები ხშირად ვარდებიან გამოუვალ მდგომარეობაში: უჭირთ საჭირო ზომის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შოვნა, სასტუმროებში არ მოიძებნება მათი შესაფერი საწოლები და ა. შ.

დებულება ითვალისწინებს, რომ ამ კლუბის წევრებად შეიძლება გახდნენ ის ადამიანები, რომელთა სიმაღლე ორ მეტრზე მეტია.

მტრედი კონტროლიორი

სერ ჯორჯ ტომსონმა, რომელმაც 1937 წელს ნობელის პრემია დაიმსახურა ფიზიკის დარგში, წინადადება წამოაყენა, რომ მაიმუნები გამოვიყენოთ ხილისა და ბამბის საკრეფად. მეცნიერები სთვლიან რომ შესაძლებელია დელფინები გავწვრთნათ თევზის ჭარავნების „მწყემსებად“. მტრედი კი შეიძლება გავზადოთ მომავლის ქარხნების კონტროლიორად.

მტრედები რომ კონტროლიორებად გავწვრთნათ, საჭიროა 50-დან 80 საათამდე დრო. აღზრდა იწყება იმით, რომ მტრედს აჩვენებენ უდავოდ წუნდებულ დეტალს და შემდეგ მას თანდათან აჩვენენ ამოიცნოს სულ უფრო და უფრო ნაკლებად შესამჩნევი ხარვეზები. მტრედი მეტად კეთილსინდისიერი მზრომელია. მას არასოდეს არ ერევა კარგი და ცუდი თუნდაც ოდნავ წუნდებულ დეტალში.

ვინ უფრო მეტ ხანს იტირებს

წელს ფილადელფიაში (აშშ) ჩატარდა შეჯიბრება მარათონულ ტირილში. გამარჯვებული გამოვიდა ცხრამეტი წლის ქალიშვილი კეროლ ჰეიდი, რომელმაც შეუჩერებლად ოთხ საათს იტირა, მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ პროფესიული მოტირლები, რომლებიც ამ თანამდებობებზე მუშაობენ იქაურ დამკრძალავ კანტორაში. ხამწუხაროდ, როგორც ეიურომ აღნიშნა შეჯიბრების ყველა მონაწილემ როდი დაიცვა სპორტული ეთიკა; რამდენიმე „სპორტსმენი“ მოიხსნა შეჯიბრებიდან აკრძალული საშუალების, კერძოდ ძლიერმოქმედი ცრემლმდენი ქიმიკატების გამოყენებისათვის.

მსოფლიოში ყველაზე დიდი

მსოფლიოში ყველაზე დიდი სურათების გალერეა ლენინგრადის ერმიტაჟია. რომ დაათვალიეროთ ამ უნიკალური მუზეუმის 322 დარბაზი, რომლებშიც ხელოვნების 5 მილიონამდე ნაწარმოები ინახება, დაახლოებით 25 კილომეტრის გავლა დაგჭირდებათ.

* * *

მსოფლიო ფერწერის რომელი ნაწარმოებია ყველაზე ძვირი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან მსოფლიოში განთქმული სურათები გალერეებსა და მუზეუმებს არასოდეს არ გააქვთ აუქციონზე. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება მათი შეფასება. როცა ლეონარდო და ვინჩის ცნობილი „ჯოკონდა“ 1963 წელს ლუვრიდან ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მიჰქონდათ გამოფენაზე, საჭირო იყო დაზღვევა, და ეს შედეგი 100 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

მოგაგონებთ, რომ აღორძინების ეპოქის დიდი მხატვრის მიერ 1507 წელს დამთავრებული „ჯიოკონდა“ 1517 წელს შეიძინა საფრანგეთის მეფე ფრანცისკ პირველმა ოქროს ოთხ ათას ფლორინად. მეფემ ამ პორტრეტით მორთო თავისი... საბანაო ოთახი.

ცამეტი — თარსი რიცხვი

როგორც ცნობილია, ცამეტი თარს რიცხვად ითვლება. მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების არმიებში მე-13 პოლკი ან დივიზია არ არსებობს, 12-დან პირდაპირ 14-ზე გადადიან.

ახლახან ნიუ-იორკში დაარსდა საზოგადოება, რომლის სახელწოდება ასეთია: „ცამეტი კაცი ებრძვის ცრუმორწმუნეობას“. საზოგადოების სხდომები ეწყობა ყოველი თვის 13 რიცხვში, ცათამბჯენის მე-13 სართულის მე-13 ოთახში; თავიანთ სხდომებზე საზოგადოების წევრები იხილავენ საკითხს, თუ როგორ ებრძოლონ ცრუმორწმუნეობას შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. ყოველთვე ისინი აქვეყნებენ ბიულეტენებს, რომ თავს კარგად გრძნობენ, არც ჭერი ჩამონგრევიათ თავზე, ოჯახშიც კარგად არიან და მათი საქმეებიც კარგად მიდის.

ჩვენი კონკურსი

ჟურნალ „დროშის“ რედაქციამ გასულ წელს ჩაატარა საჭადრაკო ეტიუდების საკავშირო კონკურსი, რომლის დროსაც განხილული იქნა 58 ავტორის 190 ნაწარმოები. კონკურსის ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ა. გერბსტმანი (ლენინგრადი) და ვ. ნეიძე (თბილისი), შეფასებისათვის შეარჩია 17 ნაწარმოები (5 პრიზი, 6 საპატიო და 6 საქები შეფასება). ხოლო ხუთმა ეტიუდმა, რომლებიც ეკუთვნოდა საქართველოს დამწყებ საჭადრაკო კომპოზიტორებს, შეადგინა ცალკე რესპუბლიკური მასშტაბის პატარა კონკურსი.

ზემოხსენებული კონკურსის შედეგად I პრიზი მიიღო გ. ნადარეიშვილმა (თბილისი); II — ან. კუზნეცოვმა (მოსკოვი); III — ვ. კალანდაძემ (თბილისი); IV — ნ. კრალინმა (საბჭოთა არმია) და ან. კუზნეცოვმა; V — ვ. ბრონმა (სვერდლოვსკი). საპატიო შეფასებები მიეცათ — I, II და IV — ე. პოღოსიანცს (მოსკოვი), III — ვ. კალანდაძეს, V — ფ. ბონდარენკოს (დნეპროპეტროვსკი) და ა. პ. კუზნეცოვს (მოსკოვი). VI — გ. ზახოდიაკინს (მოსკოვი). საქები შეფასებები მიეცათ (თანაბარი უფლებებით) — გ. აფანასიევს და ე. დვიზოვს (მინსკის ოლქი), ტ. გორგიევს (დნეპროპეტროვსკი), ა. გრინს (მოსკოვი), გ. ისარიანოვს (მოსკოვის ოლქი), გ. ნადარეიშვილს, ე. პოღოსიანცს. სპეციალური შეფასებები რესპუბლიკის დამწყებ ავტორთათვის დაიმსახურეს: პრიზი და I საპატიო შეფასება ჯ. მახათაძემ (ზესტაფონი), II და III საპატიო შეფასებები გ. ამირხანოვმა (ს. იტრია, ხაშურის რაიონი) და საქები შეფასება — ა. ყურაშვილმა (აბაშა).

კონკურსის მიმდინარეობის ვრცელი ანგარიში დაბეჭდილია ჟურნალ „დროშას“ სპეციალურ დამატებაში, რომელიც ცალკე დაეგზავნათ კონკურსის მონაწილეებს და საჭადრაკო კომპოზიციის მოყვარულებს.

ეპიზოდი

იუმორისტული მოთხრობა

დილა უთენიათ ჩემმა კარის მეზობელმა, პატივცემულმა ვანომ დამიკრა თავი.

— ამბროსი, თუ კაცი ხარ, უნდა მიშველო!

— რაშია საქმე, ბატონო ვანო?

— ჩემს გოგოს თხუთმეტი წელი შეუსრულდა და პურ-მარილი მაქვს პატარა.

— ოხ, მომილოცავს!

— საღამოს სტუმრები მეყოლება, ჩემი ახალი დირექტორიც მოვა და სკამები მჭირდება.

— აგერაა ექვსი სკამი და წაიღე, ჭირიმე!

— მაგიდა და რაც ჭურჭელი გაქვს! — დაამთავრა ვანომ და სკამების გაზიდვას შეუდგა.

იმ დღეს არც ბუფეტში მისაუზმია და არც დიეტურში მისადილია. ქეიფის მოლოდინში ნერწყვს ყლაპავდა და სახლში დაბრუნებისთანავე იატაკზე დავიუთოვე შარვალი.

ვზივარ და ველოდები. გამოვა ვანო ან მისი ოჯახობა და შემიპატიჟებს-მეთქი.

გაზეთის ოთხივე გვერდი მთლიანად გადავიკითხე. მერე ახლებმა თამაში დაიწყეს. შიმშილს თავისი გაჰქონდა.

ვანოს ბინიდან კი გახურებული მრავალუამიერი ისმოდა.

ზარის ხმა გაისმა. შვებით ამოვისუნთქე, ჰალსტუკი გავისწორე და კარებისაკენ წავედი.

— ძლივს არ გიპოვნე, ამბროსი! — ჩამეხვია ოთხი წლის უნახავი მეგობარი.

— ღუტა?! შემოდი!

ღუტამ ახლად შერთული მეუღლე გამაცნო და შუა, ცარიელ ოთახში უხერხულად გაჩერდა.

— სტუმრები ჰყავს მეზობელს, — ვთქვი მე, — ამ წუთში...

გარეთ გამოვედი და მეზობლის კარს მივუკაკუნე.

— აა, იპოლიტეც მოვიდა! — მომესმა შიგნიდან ვანოს ხმა და კარი გაიღო.

— ვანო ბატონო, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ორი სკამი უნდა მათხოვოთ!

— რად გინდა?

— სტუმრები მოვიდნენ უცებ.

— დაპატიჟებული გყავდა?

— დაპატიჟებული კი არა, ასი წელია არ მინახავს!

— აბა რა მოარბენინებდათ, იმ ოჯახკორებს!

— სკამი თუ შეიძლება!

— ბიჭო, დაპატიჟებული, დამჯდარი კაცი ავაყენო და შენი დაუპატიჟებელი სტუმარი დავსვა? სადაური ზრდილობაა!

— აგერ, ვხედავ ორ თავისუფალს!

— მაგი მარქაფად მაქვს დატოვებული!

— ბოდიში, ბატონო!

მე ჩემს ოთახში დავბრუნდი.

— ხომ იცი, ღუტა, — მოვიბოდიშე მე, — მეზობელი მეზობლისთვის რა არის!

მეტი რა გზა იყო — საწოლზე ვისხედით და ღუტას მოტანილ შამპანურს ერთი ფინჯანიდან ვსვამდით მორიგეობით.

ბოლოს მარტო დავრჩი. გავიხადე და დავწექი. ისევ ზარის ხმამ წამომაგდო.

ვანომ მხარზე გადებული ვიღაც ახმახი შემოიტანა და ჩემს საწოლზე დაიწვინა:

— ბუღალტერია ჩვენი, სულ წახდა ეს ციგანი, ეგდოს აქ, თუ ძმა ხარ!

„წამხდარი ციგანი“ ჩემს ლოგინზე ეგდო, მე კი იატაკზე წამოწოლილს თავი რადიატორზე მქონდა მიდებული.

როგორც იქნა გათენდა. თავ-კისერი გაშეშებული მქონდა. გვერდები მტკიოდა და თვალებში სისხლი ჩამეკცა.

ვანოს სტუმარს სამახსოვროდ მოსვრილი იატაკი დაიტოვებინა და გაპარულიყო. მოვწმინდე იქაურობა და სამსახურში გავვარდი.

— რაა, კაცო, იკლავ თავს? — მკითხა სექტორის უფროსმა — გაგიგონია ასე დათრობა, ადამიანს აღარ გაეხარ!

— ეს ალბათ ეუკანონო.

— კარგი პურ-მარილი თუ იყო მაინც? — არ მომეშვა უფროსი.

— გადასარევი! — ამოვილულლუღე მე და თავი მაგიდაზე ჩამოვდე.

— თუ ქვია ახლა ამას პატივისცემა? — იკითხა აღმრიცხველმა ქალმა, — დაუხრჩვიათ კაცი!

— რას იზამ, ჩვენებური სტუმართმოყვარეობის ამბავი არ იცი? — უპასუხა უფროსმა და კაბინეტში შევიდა.

მართლაც, მეზობელი მეზობლისათვის ამომავალი ჭეშეაო, ტყუილად კი არ უთქვამთ.

გივი კონტრიძე

ოფოზიცია

თითქმის სტენოგრაფიული ჩანაწერი

ჩემი ცოლი ექიმია...

მე შოფერი ვარ.

გინახავთ ეგეთი რამე—ექიმი ავად გახდეს, შოფერი კი ხალტურის მანქანას ეძებდეს! წუხელ ჩემი ქალი ცუდად გახდა, გამოვვარდი ქუჩაში, ხალტურას ვეძებ.

ვნახოთ, ერთი „ვოლგაც“ გაჩერდა.

— გცალია?

— მცალია!

— ავიდეთ ზემელზე?

— ავიდეთ!

ზემელზე ერთი კარგი ექიმი მეგულება, ნაცნობიც არის.

მოვიყვანე ეს ექიმი, ოჯახობა გასინჯა, დაგვამშვიდა, დაგვარიგა, ჯიბეში ფულიც ჩავუდე, მადლობაც მითხრა, „ვოლგა“ გარეთ მიცდის, სახლამდისაც მივიყვანე. იქიდან რომ ვბრუნდებოდი, უკვე დინჯად ვიყავი და შოფერს გამოველაპარაკე.

— კარგად მუშაობს მოტორი, აი!

— მა როგორ!

— ეტყობა ზაეიგნია სწორად გიყენია!

— შენ რა, შოფერი ხარ?

— მე? ხო რა, მეორე ატეკაში ვმუშაობ, ტაქსებზე.

— ყრია რამე?

— ეხლა ცოტა, ხარჯია ბევრი.

სახლს რომ ეუახლოვდებოდით, ჯიბეში ჩავიყავი ხელი, აბა-აბა, ეგეები არ იყოსო, დამიბღვირა შოფერმა, — შე კაი კაცო, კოლეგა ყოფილხარ, მე შენ ფულს გამოგართმევ?

ოთარ თურქია

სარედაქციო ფოსტიდან

„საოჯახო წიგნში“ შემხვდა ასეთი რჩევა-დარიგება დიასახლისებისადმი:

„თაგვების მოსასპობად შეიძლება ასეთი ხერხიც ვიხმაროთ: ბადისებრ ხაფანგში ცოცხლად დავიჭიროთ თაგვი და ვაშიმშილოთ 3-4 დღემდე. შემდეგ შევუგდოთ სხვა ხაფანგში დაჭერილი რამდენიმე თაგვი. ის პირველად თავს შეიკავებს, მაგრამ შიმშილი აიძულებს შეჭამოს ისინი, შემდეგ გამოვუშვათ ხაფანგიდან. ამ დღიდან ის საერთოდ დაიწყებს თაგვების ჭამა-განადგურებას“ (იხ. ნინო ხოფერიას „საოჯახო წიგნი“, გვ. 44. 1965 წლის გამოცემა).

მაშინვე შევუდექი ამ საინტერესო ღონისძიების განხორციელებას. მაგრამ უბედურება ის არის, რომ იმ თაგვმა აკვილა ხაფანგი დაღრღნა, მუსრი გავავლო თაგვებს, შემიჭამა მთელი მარაგი ზამთრის ნიგოზისა, საშინლად გაამაჯადა, თავზარი დასცა შინაურ ცხოველებს და დაუწყო დევნა ჩვენს საცოდავ კატას, რომელიც შიშით სახლში აღარ შემოდის და ბუჩქებში იმალება. აღარ ვიცი როგორ მოვიქცე.

ვთხოვთ „საოჯახო წიგნის“ ახალ გამოცემაში გაითვალისწინოთ ჩემი გაჭირვება.

დიასახლისი მარიამ თხილაიშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე: იალაღებზე. ფოტო ე. პესოვისა.
გარეკანის მეოთხე გვერდზე: პეიზაჟი. ფოტო ო. თურქიანი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ხ. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/I-67 წ. გამომც. № 234, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღტორო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 36.200. შეკვ. № 4423, უე 01903

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ბუმერანგი



უსიტყვოდ. ნახატი დ. ბაშალეიშვილისა.







უსიტყვოდ. ნახატი დ. ბაშალეიშვილისა.



უსიტყვოდ.



უსიტყვოდ. ნახატები ვ. მიშველაძისა.

ИНДЕКС 76056